



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფილოლოგია
დოქტორანტურა

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი(ებ)ი
28. 06. 21

დასკვნის წარდგენის თარიღი
02. 08. 21

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფილოლოგია/Philology
უმაღლესი განათლების საფეხური	მერვე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ფილოლოგიის დოქტორი (PhD in Philology)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60 (სასწავლო კომპონენტი)
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პოპიაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ინგა დიაკონიძე, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია უბერი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს ფილოლოგიის სააზროვნო სივრცისათვის შესაბამისი ეთიკის, კომპეტენციის, თეორიებისა და კვლევის მეთოდების რეალურ პრაქტიკულ კვლევებში სრულფასოვნად და მიზნობრივად გამოყენების უნარის მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ფილოლოგიის სააზროვნო სივრცის ინტერდისციპლინური განზომილებებისათვის რელევანტური ცოდნის ათვისებასა და გაანალიზებას, ფილოლოგიური აზროვნების საზღვრების გაფართოებას - ახალი ცოდნის გენერირებასა და დანერგვა/განვითარებას, ინოვაციური კვლევის განხორციელებას ფილოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე, საუნივერსიტეტო სალექციო კურსის/კურსების მომზადებასა და წარმართვას სწავლება/შეფასების თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით.

ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დოქტორანტის დატვირთვა შედგება: სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან. 60 ECTS განკუთვნილია სასწავლო კომპონენტისათვის. სასწავლო კომპონენტების სწავლება სემესტრულია (სასწავლო კომპონენტების მოდული მოიცავს ძირითად - 45 ECTS და არჩევით - 15 ECTS კურსებს) სემესტრის ხანგრძლივობა განისაზღვრება 22, ხოლო სასწავლო წლისა - 44 კვირით.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების MES 8 21 0000532028 (07/06/2021) თანახმად, 2021 წლის 28 ივნისს შპს საქართველოს უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს საქართველოს უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) აკრედიტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი, თამარ გვიანიშვილი, ინგა დიაკონიძე, თათია უბერი.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო პროგრამის მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა, ჩამოაყალიბა სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

დისტანციური ვიზიტის დროს შედგა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან.

დასასრულს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები.

○ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პირველი სტანდარტი შედასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

მეორე სტანდარტი შედასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

მესამე სტანდარტი შედასდა, როგორც შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

მეოთხე სტანდარტი შედასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

მეხუთე სტანდარტი შედასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

▪ **რეკომენდაციები**

- რეკომენდებულია, პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში აღწერილი იყოს ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის მოდულები მათი დარგობრივი თავისებურებები და მახასიათებლები.

- განხორციელდეს ეფექტური ქმედებები პროგრამის ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით.

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები იყოს ნათელი და კონკრეტული.

- დაკონკრეტდეს ინფორმაცია პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთშესაბამისობის თაობაზე.

- ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის C1 დონეზე ცოდნა;

- Certus-ის პროექტის დახურვიდან გამომდინარე, მოხდეს მისი ამოღება ენის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ნუსხიდან.

- რეკომენდებულია, შემუშავდეს კვლევითი კონცეფციის სტრუქტურის, მოცულობისა და სხვა მახასიათებლების შესახებ სარეკომენდაციო დოკუმენტი და განთავსდეს ვებგვერდზე, რათა ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული პირებისათვის.

- კვლევის კონცეფციის სტრუქტურისა და პარამეტრების შესახებ სარეკომენდაციო დოკუმენტისა შესახებ ინფორმაცია აისახოს დოქტორანტურის დებულებაში.

- რეკომენდებულია, პროგრამაში დეტალურად აისახოს არა მხოლოდ ძირითადი და არჩევითი საგნები, არამედ, მოდულები/ქვედარგები, როგორც პროგრამის სტრუქტურა და მასთან შესაბამისი სავალდებულო და არჩევითი საგნები.

- პროფესორის ასისტირება გახდეს პროგრამის სავალდებულო სტატუსის მქონე კომპონენტი,

- მოხდეს პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება იმგვარად, რომ იგი სრულად მოიცავდეს პროგრამის მიერ დასახულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს.

- გადაიხედოს სავალდებულო და არჩევითი კურსები, რათა გამოირიცხოს შესასწავლი მასალის/საკითხების განმეორება სხვადასხვა კურსში.

- რეკომენდებულია ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე კვლევების პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით სავალდებულო მოთხოვნა გახდეს, პროგრამით განსაზღვრული ორი სამეცნიერო ნაშრომიდან ერთ-ერთის გამოქვეყნება საერთაშორისო რეცენზირებად ან/და რეფერირებად/რეცენზირებად/იმპაქტფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში/შრომებში ან უცხოეთის სამეცნიერო გამოცემებში, იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში რომლებიც მოხვედრილია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (EBSCO, SCOPUS, Web of Science-ის, ან ERIH PLUS). აღნიშნული საკითხი აისახოს სადოქტორო პროგრამასა და დოქტორანტურის დებულებაში.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის მიერ განისაზღვროს სადოქტორო ნაშრომის მომზადების ინსტრუქციის შესაბამისად - წესი, რომლის მიხედვით პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალისთვის დოქტორანტთა ხელმძღვანელობის მაქსიმალური რაოდენობრივი ზღვარი დადგინდება.
- გაძლიერდეს ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სამეცნიერო აქტივობის ფინანსური მხარდაჭერის პრაქტიკა.
- მოხდეს პროგრამის ფინანსურ გეგმაში პროგრამის წარმატებული ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯის გათვალისწინება.

- აუცილებელია პროგრამის შეფასების უკვე არსებულს (პროგრამის შედეგების შეფასება) დაემატოს ისეთი შეფასების მექანიზმები, რომელთა მეშვეობით იქნება შესაძლებელი პროგრამის მდგრადობისა და განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გარემოების, პროცესებისა და პროცედურების კომპლექსურად შეფასება (მაგ., პროგრამის ათვისების ხარისხი, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისათვის სამიზნე ნიშნულების დადგენა და მიღწეული შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარება და პროგრამის სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლების დინამიკა, პროგრამის გარე შეფასება, მათ შორის უსდ-ების და კვლევითი ინსტიტუციების მიერ, უცხოეთის პროგრამებთან დადარება და სხვ.).

- კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უნდა დაკორექტირდეს „საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში“ არსებული ჩანაწერი დოქტორანტურის პროგრამის მოცულობის (180 კრედიტი) შესახებ.
- თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის და საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინების მიზნით უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, მათ შორის ამ პროგრამების ფარგლებში განხორციელებული სამეცნიერო კვლევების შესწავლის მიმართულებით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, სადოქტორო მოდულებს სათაურში მითითებული ჰქონდეს კურსის შინაარსი. აღნიშნული ფაქტორს მნიშვნელობა ექნებოდა დოქტორის დიპლომის დანართისთვისაც.
- სასურველია, პროგრამისათვის გადამუშვდეს ფილოლოგიის დარგისათვის მნიშვნელოვანი გამოცემების არსებული სარეკომენდაციო სია, რომელშიც შევა საქართველოში და უცხოეთში გამოცემული მაღალი ხარისხის პერიოდული სამეცნიერო გამოცემები, მათ შორის, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში შესული სამეცნიერო ჟურნალები. სიის განახლება სასურველია პერიოდულად.

- სასურველია, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, დაწესებულებამ, პირველ ეტაპზე - გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან; გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, საერთაშორისო დონორების, საერთაშორისო კვლევითი ფონდების შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა და დანერგოს წამახალისებელი მექანიზმები სტუდენტებისთვის საერთაშორისო კვლევითი ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში, რათა პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა განხორციელდეს წარმატებით.

- სასურველია, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით - კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტმა განსაზღვროს სტრატეგია, რომლის თანახმად ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებს, სწავლის პროცესში, ასევე კვლევითი საქმიანობის დროს, საჭიროების შემთხვევაში, პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებთან ექნებათ მჭიდრო კომუნიკაციის შესაძლებლობა;

- სასურველია, დაიგეგმოს საჯარო ლექციები/დისკუსიები პარტნიორი საზღვარგარეთის უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის მონაწილეობით; შესაძლებელია მათი მოწვევა პროგრამის ფარგლებში, სადისერტაციო ნაშრომების დამუშავების ეტაპზე - თანახელმძღვანელებად - განსაკუთრებით, უკვე კარგად ათვისებული ონლაინ სწავლების შესაბამისი პლათფორმების ინტეგრირებით; პარალელურად, სასურველია უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია რომლის მიხედვით, გაზარდოს საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობას - გაცვლითი სემესტრის ფარგლებში კვლევითი კომპონენტის გააქტიურებას.

- მიზანშეწონილია გადაიხედოს აკადემიური პერსონალის კითხვარები აკადემიური პერსონალისთვის დასმული კითხვების ნაწილში.

- დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვების შემთხვევაში უნდა იყოს გათვალისწინებული დოქტორანტურის პროგრამის თავისებურებები (უმაღლესი განათლების საფეხური, პროგრამით მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი, პროგრამის მიზნები და ა.შ.), მათ შორის უნდა გაიზარდოს რესპოდენტთა შემადგენლობაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და კვლევითი ორგანიზაციების წილი.

- **ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე**

- დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების ნაწილი დაწესებულების მიერ გაზიარებულია, ხოლო ნაწილთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა წამოადგინა მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც რეკომენდაციების ნაწილში შევიმუშავეთ დამატებითი არგუმენტები, ხოლო რეკომენდაციის ნაწილთან დაკავშირებით დასკვნაში დაზუსტდა გარკვეული საკითხები. კერძოდ:

- რეკომენდაცია: რეკომენდებულია, პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში აღწერილი იყოს ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის მოდულები მათი დარგობრივი თავისებურებები და მახასიათებლები. - გაზიარებულია დაწესებულების მიერ.
- რეკომენდაცია: რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები იყოს ნათელი და კონკრეტული. - გაზიარებულია დაწესებულების მიერ.
- რეკომენდაცია: დაკონკრეტდეს ინფორმაცია პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთშესაბამისობის თაობაზე - გაზიარებულია დაწესებულების მიერ.
- რეკომენდაცია: Certus-ის პროექტის დახურვიდან გამომდინარე, მოხდეს მისი ამოღება ენის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ნუსხიდან. - გაზიარებულია დაწესებულების მიერ.
- რეკომენდაცია: თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის და საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინების მიზნით უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, მათ შორის ამ პროგრამების ფარგლებში განხორციელებული სამეცნიერო კვლევების შესწავლის მიმართულებით - გაზიარებულია დაწესებულების მიერ.
- რეკომენდაცია: რეკომენდებულია ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე კვლევების პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით სავალდებულო მოთხოვნა გახდეს, პროგრამით განსაზღვრული ორი სამეცნიერო ნაშრომიდან ერთ-ერთის გამოქვეყნება საერთაშორისო რეცენზირებად ან/და რეფერირებად/რეცენზირებად/იმპაქტფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში/შრომებში ან უცხოეთის სამეცნიერო გამოცემებში, იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალებში რომლებიც მოხვედრილია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (EBSCO, SCOPUS, Web of Science-ის, ან ERIH PLUS). აღნიშნული საკითხი აისახოს სადოქტორო პროგრამისა და დოქტორანტურის დებულებაში. - გაზიარებულია დაწესებულების მიერ.
- რეკომენდაცია: მიღების წინაპირობებზე ინფორმაციის გამჭვირვალობის, ხელმსაწვდომობის და საჯაროობის უზრუნველსაყოფად, გასაუბრების თემატიკა განთავსდეს ვებ-გვერდზე. - გაზიარებულია დაწესებულების მიერ.
- რეკომენდაცია: პროფესორის ასისტირება გახდეს პროგრამის სავალდებულო სტატუსის მქონე კომპონენტი - გაზიარებულია დაწესებულების მიერ.
- რეკომენდაცია: კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უნდა დაკორექტირდეს „საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში“ არსებული ჩანაწერი დოქტორანტურის პროგრამის მოცულობის (180 კრედიტი) შესახებ. - გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.
- რეკომენდაცია - ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის C1 დონეზე ცოდნა - დაწესებულების მიერ არ იქნა გაზიარებული.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამისთვის ინგლისური ენის B2 (Upper-intermediate) დონის განსაზღვრა არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან სადოქტორო საფეხური ეს არის უმაღლესი საგანმანათლებლო საფეხური, სადაც დოქტორანტებს მოუწევთ მრავალფეროვან ინგლისურენოვან მასალასთან მუშაობა, მათ შორის, დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტის დაძლევის დროსაც, ინგლისურენოვანი

სასწავლო კურსების ფარგლებშიც. ამასთან, დოქტორანტურაში სწავლისა და კვლევის დროს დოქტორანტებმა ინგლისურ ენაზე უნდა დაამუშაონ როგორც თეორიული მასალა, ასევე, საკვლევად საჭირო ინგლისურენოვანი ემპირიული ბაზა, რაც ენის უფრო მაღალ საფეხურზე, კერძოდ, სულ მცირე, C1 დონეზე ფლობას საჭიროებს.

უნივერსიტეტის არგუმენტირებული პასუხის მიხედვით, B2 დონის წინაპირობად განსაზღვრის ერთ-ერთ არგუმენტად მოყვანილია B2 დონის კლასიკური განსაზღვრება:

“Can understand the main ideas of complex text on both concrete and abstract topics, including technical discussions in his/her field of specialisation. **Can interact** with a degree of fluency and spontaneity that makes regular interaction with native speakers quite possible without strain for either party. **Can produce clear,** detailed text on a wide range of subjects and explain a viewpoint on a topical issue giving the advantages and disadvantages of various options“.

ჩვენი პოზიციის უფრო ნათლად წარმოსაჩენად, აქვე მოვიყვანთ C1 ენობრივი დონის განმარტებას:

- “He/she can understand a wide range of more demanding, longer texts, and recognize implicit meaning in them.
- He/she can express him/herself fluently and spontaneously without much obvious searching for the right expression.
- He/she can use language flexibly and effectively for social, academic and professional purposes. He/she can produce clear, well-structured, detailed text on complex subjects, showing correct use of organizational patterns, connectors and cohesive devices” (<https://www.britishcouncil.es/en/english/levels/c1>).

მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამისათვის არსებითია შემდეგი სხვაობები ამ ორ დონეს შორის: კერძოდ, თუ B2 დონე ითვალისწინებს რთული ტექსტის მთავარი აზრის გაგებას, C1 დონე ითვალისწინებს უფრო ფართო დიაპაზონის რთული და უფრო დიდი მოცულობის ტექსტების გაგებას. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამისთვის არის ის, რომ C1 დონე, B1-სგან განსხვავებით, ითვალისწინებს ტექსტის იმპლიციტურ დონეზე წვდობას, რაც წარმოადგენს ფილოლოგიური კვლევის ერთ-ერთ უნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

ინტერაქციის დონესთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სხვაობები აქაც ნათელია, თუმცა, მოცემული პროგრამისათვის აქტუალური და ფრიად მნიშვნელოვანია განსხვავება ტექსტის რეპროდუქციის უნარში. B2 დონის ფლობა ითვალისწინებს სხვადასხვა თემატიკის დეტალური ტექსტის რეპროდუქციის უნარს, ამ დონის ფარგლებში ასევე შესაძლებელია საკუთარი მოსაზრების ახსნა ნაკლებისა და უპირატესობების განმარტებით. მაშინ როცა, C1 დონის ფლობა ითვალისწინებს ენის მოქნილად და ეფექტურად გამოყენების უნარს სოციალური, აკადემიური და პროფესიული მიზნით. C1 დონის ფლობის შემთხვევაში ასევე შესაძლებელია გასაგები, კარგად აგებული ტექსტის რეპროდუქცია რთულ თემატიკაზე, ენის მფლობელი ავლენს ტექსტის სწორი და თანმიმდევრული ორგანიზაციის უნარს და ა.შ რაც არსებითი მნიშვნელობის მატარებელია დოქტორანტისათვის, რომელმაც ინგლისურ ენაზე უნდა გამოაქვეყნოს სამეცნიერო პუბლიკაციები საერთაშორისო მასშტაბით. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ პროგრამა მოიცავს აკადემიური წერის კურსს სამეცნიერო პუბლიკაციებისთვის ინგლისურ ენაზე და არა რომელიმე სხვა

საერთაშორისო ენაზე. ანუ, მისთვის C1 დონეზე ტექსტის რეპროდუქციის ზემოთაღნიშნული უნარი არსებითად მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება უნივერსიტეტის მიერ არგუმენტირებულ პასუხში მოყვანილ შემდეგ შედარებას „სპეციალისტი, რომლის ინგლისური ენის კომპეტენცია განისაზღვრება B2 (Upper-intermediate) დონით, უძრავლეს შემთხვევაში, გაცილებით უკეთ აღიქვამს და თარგმნის მისი სპეციალობისათვის რელევანტურ პროფესიულ-დარგობრივ ტექსტს, ვიდრე მთარგმნელი, რომელიც ფლობს ინგლისური ენის C1 (Advanced) დონეს, მაგრამ არ გააჩნია კონკრეტული სააზროვნო სივრცისათვის რელევანტური ტერმინოლოგიისა და პროფესიულ-დარგობრივი ტექსტების ლექსიკური თავისებურებების ცოდნა“. ჩვენთვის გაუგებარია ამ შედარების საფუძველი ან საჭიროება, ვინაიდან მთარგმნელის კომპეტენციები და სფერო სრულიად განსხვავდება მოცემული ფილოლოგიის პროგრამის დოქტორანტის საჭიროებებისგან. თუ აქ იგულისხმება ის, რომ დოქტორანტმა უნდა შეძლოს უცხოენოვან მასალასთან მუშაობა, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს, (ყოველ შემთხვევაში უნდა გვქონდეს) მასალის აღქმა ინტერპრეტაციასთან და არა პირდაპირ და უშუალო თარგმნასთან.

უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პასუხში ასევე ვკითხულობთ: „სპეციალობის მოდულებში ინტეგრირებული თემების მხოლოდ 39% პროცენტი მოიცავს მხოლოდ ინგლისურენოვან მასალას, თემების 61% კი მოიცავს როგორც ინგლისურენოვან, ისე ქართულენოვან მასალას. აღნიშნული ფაქტი არ უქმნის დოქტორანტს რაიმე სირთულეს, ვინაიდან, მას, როგორც წესი, გააჩნია მისი სპეციალობისათვის რელევანტური ინფორმაციის მოძიების უნარი მისთვის მაქსიმალურად „კომფორტულ“ ენაზე.“

როგორც დასკვნაშია აღნიშნული, წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსების ასათვისებლად მითითებული სავალდებულო თუ დამხმარე ლიტერატურა უმეტესწილად ინგლისურენოვანია და მოიცავს ისეთ დარგებს, როგორცაა ანთროპოლოგია, ლინგვისტიკა და ა.შ. **უფრო თუ დაგვონკრეტდებით, წარმოდგენილი 8 სილაბუსიდან მხოლოდ 3 კურსის სარეკომენდაციო ლიტერატურა მოიცავს რამოდენიმე ქართულ წყაროს, თუმცა, რა თქმა უნდა უდიდესი წილი მაინც ინგლისურენოვანია.**

ასევე, სრულიად ინგლისურენოვანია ის თეორიული, სამეცნიერო და კვლევითი ხასიათის ლიტერატურაც, რომელსაც ფილოლოგიის დოქტორანტები იყენებენ თავიანთ ნაშრომებში, რაც დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი უნივერსიტეტში მოქმედი ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტების მიერ შესრულებული სადისერტაციო ნაშრომების გაცნობის შედეგად.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ადგილობრივი მასშტაბით, პროგრამის დადარება განხორციელდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამასთან, ამ უკანასკნელის მიღების წინაპირობა კი უცხო ენის C1 დონეზე ფლობა გახლავთ, უფრო მეტიც, ინგლისური ენის C1 დონის კომპეტენცია ფიქსირდება უმეტესობა ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამების წინაპირობად საერთაშორისო მასშტაბითაც (იმ პირებისთვისაც კი, ვისთვისაც ინგლისური ენა მშობლიური ენა არ არის).

- **რეკომენდაცია:** განხორციელდეს ეფექტური ქმედებები პროგრამის ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით. არ იქნა გაზიარებული დაწესებულების მიერ,

რადგან დაწესებულება თვლის, რომ პროგრამა ახალია და მათ აქვთ გათვალისწინებული ყველა აქტივობა, რაც სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაციაში მოიაზრება. პროგრამის განმახორციელებლები ადასტურებენ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საჭიროებას და შესაძლებლობებსაც. მათ მიაჩნიათ, რომ უკვე აქვთ ამის გარკვეული რესურსი პროგრამაში უცხოელი აკადემიური პერსონალის ჩართვის თვალსაზრისით. ასეთი თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის დამატებითი მოთხოვნის საფუძველზე, მოწოდებული იქნა 2 უცხოელი პროფესორის CV, რომლებიც ბულგარეთის და დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებს წარმოადგენენ და რომლებთანაც თანამშრომლობა იგეგმება მოცემული სადოქტორო პროგრამის ფარგლებში. თუმცა, ამ ეტაპზე, აღნიშნული საკითხი მხოლოდ ზეპირი მოლაპარაკებებით შემოიფარგლება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პროგრამის ინტერნაციონალიზაციისათვის ეფექტური ქმედებების განხორციელება.

- **რეკომენდაცია:** მოხდეს პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება იმგვარად, რომ იგი სრულად მოიცავდეს პროგრამის მიერ დასახულ მიზნებს და მისალწევ შედეგებს - არ იქნა გაზიარებული დაწესებულების მიერ. დაწესებულების პასუხში აღნიშნულია, რომ მათთვის ბუნდოვანია რეკომენდაციის შინაარსი. ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია, რომ „პრაქტიკის არსებული კომპონენტი, რომელიც მხოლოდ პედაგოგიურ გამოცდილებას უკავშირდება, ვერ იქნება საკმარისი პროგრამის ყველა შედეგის უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებით, აქ იგულისხმება კვლევითი პრაქტიკა, რომელიც, ვფიქრობთ, აუცილებლად უნდა იქმნას გათვალისწინებული წარმოდგენილ პროგრამაში“. დამატებით აღნიშნავთ, რომ მნიშვნელოვანია სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფდეს დოქტორანტის როგორც პედაგოგიურ, ისე კვლევით პრაქტიკას.

- **რეკომენდაცია:** რეკომენდებულია, უნივერსიტეტის მიერ განისაზღვროს სადოქტორო ნაშრომის მომზადების ინსტრუქციის შესაბამისად წესი, რომლის მიხედვით პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალისთვის დოქტორანტთა ხელმძღვანელობის მაქსიმალური რაოდენობრივი ზღვარი დადგინდება. - დაწესებულების მიერ არ იქნა გაზიარებული. დაწესებულების მიერ გამოგზავნილ პასუხში აღნიშნულია, რომ მათ აქვთ დათქმა, რომლის მიხედვითაც 2-4 დოქტორანტს იღებენ სადოქტორო სწავლების სრული ციკლის განმავლობაში, თუმცა ეს არ არის დოკუმენტირებული და ეს კომპონენტი რეგულირდება სკოლის/დეპარტამენტის მიერ. აკრედიტაციის ექსპერტთა აზრით, მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხი იყოს დოკუმენტირებულად ასახული შესაბამის ნორმატიულ აქტებში.

- **რეკომენდაცია:** გაძლიერდეს ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სამეცნიერო აქტივობის ფინანსური მხარდაჭერის პრაქტიკა. დაწესებულების აზრით, სამეცნიერო პერსონალის ფინანსური მხარდაჭერა სამი მიმართულებით ხორციელდება, თუმცა აკრედიტაციის ვიზიტის დროს პროგრამაში მონაწილე პერსონალთან ინტერვიუს დროს არ გამოვლინდა სამეცნიერო აქტივობების მდგრადი ფინანსური მხარდაჭერის პრაქტიკა.

რეკომენდაცია: მოხდეს პროგრამის ფინანსურ გეგმაში პროგრამის წარმატებული ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯის გათვალისწინება. - დაწესებულების აზრით, სადოქტორო პროგრამის ფინანსური გეგმა მოიცავს მხოლოდ შემოსავლებს და მათ

განაწილებას: აკადემიური პერსონალის, დოქტორანტის ხელმძღვანელისა და ექსპერტების ანაზღაურებას, ასევე, დოქტორანტის სამეცნიერო აქტივობისათვის განკუთვნილ გრანტს. წარმოდგენილ ბიუჯეტში არ არის ასახული აღნიშნული კომპონენტები: ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაგეგმილი აქტივობები, პერსონალის სამეცნიერო აქტივობების/მივლინებების ხარჯები, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია სადოქტორო პროგრამის წარმატებით ფუნქციონირებისათვის.

- **2. 1 პუნქტის (მიღების წინაპირობები) რეკომენდაციების ნაწილი გადამუშავდა,** ვინაიდან დოქტორანტურის დებულებაში ფიქსირდება გარკვეული უზუსტობა, კერძოდ, დებულებაში აღნიშნულია კონცეფციის შეფასების კრიტერიუმები (დანართი 1, დანართი 2, დანართი 3), ხოლო დანართების სახელწოდებებია: დანართი 1 - კონცეფციის შესრულების კრიტერიუმები; დანართი 2 - კონცეფციის შესრულების კრიტერიუმები სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში; დანართი 3 – კონცეფციის შესრულების კრიტერიუმები ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლაში. ექსპერტებისათვის ხელმისაწვდომი გახდა დანართი 1, რადგან ის კავშირში იყო სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან, თუმცა იგი აღმოჩნდა კონცეფციის შეფასების კრიტერიუმი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, შემუშავდეს კვლევითი კონცეფციის მახასიათებლების შესახებ დოკუმენტი, რომელიც უნდა აისახოს დოქტორანტურის დებულებაში და ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული პირებისათვის.

- რეკომენდებულია, შემუშავდეს კვლევითი კონცეფციის სტრუქტურის, მოცულობისა და სხვა მახასიათებლების შესახებ სარეკომენდაციო დოკუმენტი და განთავსდეს ვებგვერდზე, რათა ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული პირებისათვის.
- კვლევის კონცეფციის სტრუქტურისა და პარამეტრების შესახებ სარეკომენდაციო დოკუმენტისა შესახებ ინფორმაცია აისახოს დოქტორანტურის დებულებაში.

- **5. 1. (შიდა ხარისხის შეფასება) პუნქტში ორი რეკომენდაცია გადამუშავდა ერთ რეკომენდაციად და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:**

აუცილებელია პროგრამის შეფასების უკვე არსებულს (პროგრამის შედეგების შეფასება) დაემატოს ისეთი შეფასების მექანიზმები, რომელთა მეშვეობით იქნება შესაძლებელი პროგრამის მდგრადობისა და განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გარემოების, პროცესებისა და პროცედურების კომპლექსურად შეფასება (მაგ., პროგრამის ათვისების ხარისხი, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისათვის სამიზნე ნიშნულების დადგენა და მიღწეული შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარება და პროგრამის სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლების დინამიკა, პროგრამის გარე შეფასება, მათ შორის უსდ-ების და კვლევითი ინსტიტუციების მიერ, უცხოეთის პროგრამებთან დადარება და სხვ.) - მიუხედავად იმისა, რომ სააკრედიტაციოდ წარდგენილი პროგრამის მიზნებისთვის უკვე განხორციელდა გარკვეული აქტივობები (უცხოეთის პროგრამებთან დადარება), მნიშვნელოვანია შეფასების ყველა მექანიზმი აისახოს საუნივერსიტეტო მარეგულირებელ „საგანმანათლებლო პროგრამების დებულებაში“ (მაგ., თავი 5. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების უწყვეტი სრულყოფის მექანიზმი).

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

-

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს საქართველოს უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის „ფილოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია, ასევე, პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, პროგრამაში გათვალისწინებულია დასაქმების ბაზარზე ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა მიმართ არსებული მოთხოვნები და დაინტერესებულ მხარეთა რეკომენდაციები. ამასთან, პროგრამა არსებითად ითვალისწინებს ფილოლოგიის დარგის განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს.

პროგრამის მიზნებს წარმოადგენს ფილოლოგიის სააზროვნო სივრცისათვის რელევანტური თეორიებისა და კვლევის მეთოდების რეალურ პრაქტიკულ კვლევებში სრულფასოვნად და მიზნობრივად გამოყენების უნარის მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს ფილოლოგიის სააზროვნო სივრცის ინტერდისციპლინური განზომილებებისათვის რელევანტური ცოდნის ათვისებასა და გაანალიზებას, ფილოლოგიის სფეროში ახალი ცოდნის გენერირებასა და დანერგვა/განვითარებას, ინოვაციური კვლევის განხორციელებას ფილოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე, საუნივერსიტეტო სალექციო კურსის/კურსების მოამზადებასა და წარმართვას სწავლება/შეფასების თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით.

პროგრამის მიზნებში, ასევე, სწავლის შედეგებსა და პროგრამის სტრუქტურაში არ არის ნათლად ასახული (იხ. სადოქტორო პროგრამა), რომ პროგრამას გააჩნია მოდულები/ქვედარგები. მხოლოდ თვითშეფასების დოკუმენტში, 1.1. პუნქტში აღნიშნულია: „სპეციალობის ექსტენსიური მოდულები, რომლებიც წარმოაჩენს ფილოლოგიური აზროვნების დინამიკასა და სააზროვნო სივრცეში არსებული პარადიგმული სიტუაციის სპეციფიკას; სააზროვნო პარადიგმათა მონაცვლეობისა და მემკვიდრეობითობის არსს; ფილოლოგიის სააზროვნო სივრცის ინტერდისციპლინარულობისა და ინტეგრაციულობის არსს: ერთი მხრივ, ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის, მეორე მხრივ კი, ლინგვისტიკისა და ანთროპოლოგიის კვეთაზე გენერირებული ცოდნის სპეციფიკას; ლინგვისტიკის ანთროპოცენტრისტულ მიმართულებათა შორის არსებული კავშირის სპეციფიკას; ფილოლოგიის სააზროვნო სივრცისათვის რელე-

ვანტური თეორიებისა და კვლევის მეთოდების თავისებურებებს“ (გვ. 12). რეკომენდებულია, პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში აღწერილი იყოს „ფილოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის მოდულები მათი დარგობრივი თავისებურებები და მახასიათებლები.

უნივერსიტეტის მიერ დეკლარირებული ხედვისა და ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების გათვალისწინებით, ინტერნაციონალიზაცია უნივერსიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. წარმოდგენილი პროგრამა მოიცავს ინტერნაციონალიზაციის გარკვეულწილად ვიწრო ხედვას, სადაც სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის კვლევის შედეგების ინტერნაციონალიზაცია საერთაშორისო გამოცემებში პუბლიკაციების განთავსებით და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით შემოიფარგლება. ასევე, ინტერნაციონალიზაციის დამადასტურებელ ფაქტად მოყვანილია წარმოდგენილი პროგრამის დადარება რუმინეთის უნივერსიტეტის ფილოლოგიის პროგრამასთან. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის, ისევე როგორც ინტერვიუების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო სრული ინფორმაცია აღნიშნულ პროგრამასთან დადარების თაობაზე, დამატებით მოწოდებული ინფორმაციაც ზოგად ხასიათს ატარებს, კეროდ, მეტი სინათლისთვის, მოვახდენთ ციტირებას თვითშეფასების დოკუმენტიდან: [საქართველოს უნივერსიტეტის წარმოდგენილი პროგრამის და რუმინეთის უნივერსიტეტის ფილოლოგიის პროგრამის] „სწავლის საბოლოო შედეგები და მათ მიღწევაზე ორიენტირებული მეთოდები/აქტივობები დაახლოებით ერთი პრინციპითაა აგებული, რაც მნიშვნელოვნად ზრდის საქართველოს უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ინტეგრირებისა და მობილობის შესაძლებლობებს.“ (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 15).

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებები სხვადასხვა უცხოურ უსდ-ებთან. ექსპერტთა ჯგუფმა სცადა, დაეზუსტებინა აღნიშნული საკითხი ინტერვიუების დროს. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მოწოდებული დოკუმენტაცია საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ ზოგად საუნივერსიტეტი ხასიათს ატარებს. პროგრამის განმახორციელებლები ადასტურებენ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საჭიროებას და შესაძლებლობებსაც. მათ მიაჩნიათ, რომ უკვე აქვთ ამის გარკვეული რესურსი პროგრამაში უცხოელი აკადემიური პერსონალის ჩართვის თვალსაზრისით. ასეთი თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის დამატებითი მოთხოვნის საფუძველზე, მოწოდებული იქნა 2 უცხოელი პროფესორის CV, რომლებიც ბულგარეთის და დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებს წარმოადგენენ და რომლებთანაც თანამშრომლობა იგეგმება მოცემული სადოქტორო პროგრამის ფარგლებში. თუმცა, ამ ეტაპზე, აღნიშნული საკითხი მხოლოდ ზეპირი მოლაპარაკებებით შემოიფარგლება.

პროგრამის შინაარსის, მიზნების, შედეგების და, განსაკუთრებით, მისანიჭებელი კვალიფიკაციის და უნივერსიტეტის ხედვის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამა საჭიროებს გაძლიერებას ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- საქართველოს უნივერსიტეტის მისია, სტრატეგია;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.
- ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

<ul style="list-style-type: none"> ○ რეკომენდებულია, პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში აღწერილი იყოს ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის მოდულები მათი დარგობრივი თავისებურებები და მახასიათებლები. ○ განხორციელდეს ეფექტური ქმედებები პროგრამის ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: <ul style="list-style-type: none"> ○ -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> ○ -
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<h3>1.2. პროგრამის სწავლის შედეგები</h3> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო პროგრამა შეესაბამება დოქტორანტურის საფეხურს და შესაბამის მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამა გაწერილია კვალიფიკაციათა ახალი ჩარჩოს სამი კრიტერიუმის მიხედვით, როგორცაა ა) ცოდნა და გაცნობიერება; ბ) უნარი და; გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.</p> <p>სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამის სწავლის შედეგები არსებითად შეესაბამება ფილოლოგიის დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, თუმცა შეინიშნება შედეგების აღწერის განზოგადება.</p> <p>„ფილოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგებში მოაზრებულია დოქტორანტურის საფეხურისათვის შესაბამისი უნარები. კერძოდ, სწავლის შედეგებში აღწერილია ის კომპეტენციები, რომელიც პროგრამის კუსდამთავრებულმა უნდა შეძლოს. მათ შორის, ფილოლოგიის დარგის მეთოდოლოგიური მიდგომებისა და თავისებურებების ცოდნა, თეორიული პარადიგმების ცოდნა, ასევე, კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, საკვლევო პრობლემის ანალიზი და სხვ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სწავლის შედეგების აღწერილობა ზოგ შემთხვევაში არის ძალზე ზოგადი, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების მსურველთა ერთგვარი გაურკვევლობა. მაგალითად, სწავლის შედეგებში აღნიშნულია: იცნობს „სამყაროს მეცნიერული სურათის</p>

სტრუქტურისა და ფუნქციების, კვლევის შემეცნებითი და სოციალური ნორმების თავისებურებებს, ობიექტურობის, საფუძვლიანობისა და დინამიკურობის ცნებათა არსს, სოციალური და კულტურული ფუნქციონირების ზოგად კანონზომიერებებს; ეფექტური წერილობითი ტექსტის პროდუცირებისა და გამოსაქვეყნებლად მომზადების პროცესის თავისებურებებს, სამეცნიერო სტილის, აკადემიური პატიოსნებისა და პლაგიატიზმის არსს, ეფექტური პრეზენტაციის ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ მარკერთა სპეციფიკას“ და სხვ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დოქტორანტურის კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს არა ეფექტური წერილობითი ტექსტის პროდუცირება, არამედ სამეცნიერო ნაშრომის შექმნა, რომელშიც უნდა გამოიყენოს შესაბამისი სამეცნიერო სტილი ციტირებისათვის, ასევე, სამეცნიერო ნაშრომი უნდა იცავდეს აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმებს და სხვ. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები იყოს ნათელი და კონკრეტული.

პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის, სასწავლო და კვლევით კომპონენტებში შედეგების შეფასება ხდება საუნივერსიტეტო შეფასების სისტემის ფორმატში, რითაც ხდება კონკრეტული სასწავლო კურსების შეფასება დადგენილი და აპრობირებული მეთოდებით (სემინარები, რეფერატების მომზადება/წარდგენა, სტუდენტის მიერ სასწავლო კურსით და/ან პროგრამით მიღწეული შედეგების შეფასება და სხვ.).

პროგრამას თან არ ახლდა კურიკულუმის რუკა, რომელიც მოწოდებული იქნა ექსპერტთა ჯგუფის დამატებითი მოთხოვნის საფუძველზე. რუკა აღწერს სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობას. თუმცა, იგი არ ასახავს პროგრამის მიზნების და მისაღწევი შედეგების შესაბამისობას. მიგვაჩნია, რომ პროგრამის მიერ დასახული მიზნებისა და მისაღწევი შედეგების უკეთესად გაზომვის მიზნით, პროგრამა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მიზნების და შედეგების შესაბამისობის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- კურიკულუმის რუკა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები იყოს ნათელი და კონკრეტული.
- დაკონკრეტდეს ინფორმაცია პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთშესაბამისობის თაობაზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

- -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს საქართველოს უნივერსიტეტს „ფილოლოგიის“ სადოქტორო პროგრამაზე (შემდგომში - პროგრამა) განსაზღვრულია აქვს საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: „სადოქტორო პროგრამაზე მიიღებიან მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებებში, რომლებიც შეძლებენ ინგლისური ენის არანაკლებ B2 (Upper-intermediate) დონეზე ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტის (ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი; ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი Certus; ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი/დანართი ან ცნობა; ან შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში) და კვლევის კონცეფციის წარმოდგენას და გაივლიან გასაუბრებას სპეციალობაში (გასაუბრების თემატიკა განთავსებულია ვებგვერდზე). პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები გამჭვირვალეა, სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდიდან (www.ug.edu.ge), ასევე პროგრამის ხელმძღვანელთან პირადი კონსულტაციების საფუძველზე.”

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამისთვის ინგლისური ენის B2 (Upper-intermediate) დონის განსაზღვრა არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან სადოქტორო საფეხური ეს არის უმაღლესი საგანმანათლებლო საფეხური, სადაც დოქტორანტებს მოუწევთ მრავალფეროვან ინგლისურენოვან მასალასთან მუშაობა, მათ შორის, დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტის დამლევის დროსაც, ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების ფარგლებშიც. ამასთან, დოქტორანტურაში სწავლისა და კვლევის დროს დოქტორანტებმა ინგლისურ ენაზე უნდა დაამუშაონ როგორც თეორიული მასალა, ასევე, საკვლევად საჭირო ინგლისურენოვანი ემპირიული ბაზა, რაც ენის უფრო მაღალ საფეხურზე, კერძოდ, სულ მცირე,

C1 დონეზე ფლობას საჭიროებს.

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსების ასათვისებლად მითითებული სავალდებულო თუ დამხმარე ლიტერატურა უმეტესწილად ინგლისურენოვანია და მოიცავს ისეთ დარგებს, როგორცაა ანთროპოლოგია, ლინგვისტიკა და ა.შ. ასევე სრულიად ინგლისურენოვანია ის თეორიული, სამეცნიერო და კვლევითი ხასიათის ლიტერატურაც, რომელსაც ფილოლოგიის დოქტორანტები იყენებენ თავიანთ ნაშრომებში, რაც დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი უნივერსიტეტში მოქმედი ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტების მიერ შესრულებული სადისერტაციო ნაშრომების გაცნობის შედეგად.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ადგილობრივი მასშტაბით, პროგრამის დადარება განხორციელდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამასთან, ამ უკანასკნელის მიღების წინაპირობა კი უცხო ენის C1 დონეზე ფლობა გახლავთ, უფრო მეტიც, ინგლისური ენის C1 დონის კომპეტენცია ფიქსირდება უმეტესობა ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამების წინაპირობად საერთაშორისო მასშტაბითაც (იმ პირებისთვისაც კი, ვისთვისაც ინგლისური ენა მშობლიური ენა არ არის).

წარმოდგენილი პროგრამის წინაპირობებში ენის კომპეტენციის დამადასტურებელ ერთ-ერთ დოკუმენტად აღნიშნულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი - Certus. აღნიშნული პროექტი დაიხურა და აღარ ფუნქციონირებს 2018 წლიდან. რაც შეეხება ამ პროექტის არსებობის მანძილზე გაცემულ სერტიფიკატებს, მათი ვადა 3 წელია. ანუ პროგრამაზე სავარაუდო მიღების დროისთვის Certus-ის მიერ გაცემული ყველა სერტიფიკატი ძალადაკარგული იქნება. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზემოაღნიშნული დოკუმენტის ამოღება ენის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ნუსხიდან.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე დაინტერესდა წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ტესტით და გასაუბრების საკითხებით. ორივე დოკუმენტი დამატებით იქნა მოწოდებული და ისინი შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს. რაც შეეხება ინფორმაციის ხელმისაწვდომობას პროგრამაზე მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დოქტორანტურაში მიღების წინაპირობების შესახებ. თუმცა, იგი არ მოიცავს გასაუბრების საკითხების ჩამონათვალს. მიღების წინაპირობებზე ინფორმაციის გამჭვირვალობის, ხელმისაწვდომობის და საჯაროობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდირებულია განთავსდეს ვებგვერდზე არა მხოლოდ ტესტის ნიმუში, არამედ გასაუბრების თემატიკაც. ამასთან, მნიშვნელოვანია წინასწარ შემუშავებული იყოს გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები, რომელიც ასევე უნდა განთავსდეს ვებგვერდზე, რათა დაინტერესებული პირებისათვის იყოს ხელმისაწვდომი.

წინაპირობით განსაზღვრულია კვლევის კონცეფცია, რომელიც უნდა წარმოადგინოს დოქტორანტურაში შემომსვლელმა. კვლევის კონცეფცია განსაზღვრულია უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებითაც, თუმცა არ არის დეტალურად განმარტებული კვლევის კონცეფციის მოცულობა და პარამეტრები, ასევე, სხვა დეტალები. რეკომენდებულია, შემუშავდეს კვლევითი კონცეფციის სტრუქტურის, მოცულობისა და სხვა მახასიათებლების შესახებ სარეკომენდაციო დოკუმენტი და განთავსდეს ვებგვერდზე, რათა ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული პირებისათვის. აღნიშნული დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია აისახოს დოქტორანტურის დებულებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის C1 დონეზე ცოდნა;
- Certus-ის პროექტის დახურვიდან გამომდინარე, მოხდეს მისი ამოღება ენის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ნუსხიდან.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს კვლევითი კონცეფციის სტრუქტურის, მოცულობისა და სხვა მახასიათებლების შესახებ სარეკომენდაციო დოკუმენტი და განთავსდეს ვებგვერდზე, რათა ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული პირებისათვის.
- კვლევის კონცეფციის სტრუქტურისა და პარამეტრების შესახებ სარეკომენდაციო დოკუმენტისა შესახებ ინფორმაცია აისახოს დოქტორანტურის დებულებაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

- -

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა შედგენილია საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს პროგრამის დაგეგმვასა და განხორციელებას ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის, სტუდენტის, კურსდამთავრებულისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას.

ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზნები და მისი

შედეგები (როგორც დარგობრივი ცოდნის, ისე ზოგადტრანსფერული უნარების თვალსაზრისით), სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და დოქტორანტის ცოდნის შეფასების სისტემა შედგენილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს სადოქტორო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამა მოიცავს სასწავლო (ძირითად და არჩევითი სასწავლო) კომპონენტებს.

ძირითადი: მეცნიერების ფილოსოფია, სწავლება/შეფასების თანამედროვე სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში, სპეციალობის ორი მოდული, აკადემიური წერა სამეცნიერო პუბლიკაციებისთვის და **არჩევითი:** კვლევითი პროექტის მართვა, რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, პროფესორის ასისტირება (სწავლების პრაქტიკა), ტექსტის რეფერირება და თარგმანი და **კვლევით** (სადოქტორო ნაშრომი) მოდულებს.

სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან. სასწავლო კომპონენტი 60 კრედიტიანია, ძირითადი კომპონენტების მოდული მოიცავს 45 კრედიტს, ხოლო არჩევითი - 15 კრედიტს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ძირითადად, შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა გვხვდება გარკვეული სახის ხარვეზი: სადოქტორო პროგრამაში არ არის გაწერილი დეტალურად სასწავლო კომპონენტის სხვა, შინაარსობრივი და თემატური მოდულები/ქვედარგები. პროგრამის ხელმძღვანელთან და სკოლის ადმინისტრაციასთან შეხვედრის დროს გაირკვა, რომ პროგრამას აქვს/უნდა ჰქონდეს ორი მოდული/ქვედარგი: ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ქვედარგები, ამასთან, ერთ-ერთის შემადგენელია ლინგვისტური ანთროპოლოგია, როგორც ქვემომართულება/მოდული. აღნიშნული საკითხები პროგრამაში არ არის ასახული. რეკომენდებულია, პროგრამაში დეტალურად აისახოს არა მხოლოდ ძირითადი და არჩევითი საგნები, არამედ, მოდულები/ქვედარგები, როგორც პროგრამის სტრუქტურა და მასთან შესაბამისი სავალდებულო და არჩევითი საგნები.

პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ წარმოდგენილ პროგრამაში გასაძლიერებელია პრაქტიკის კომპონენტი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროგრამაში იგი წარმოდგენილია პროფესორის ასისტირებით, რომელსაც არჩევითი სტატუსი აქვს და გამიზნულია იმ პირებისთვის, რომლებსაც არ აქვთ უსდ-ში პედაგოგიური პრაქტიკის გამოცდილება, რაც დადასტურდა პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუების შედეგადაც.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს „საუნივერსიტეტო სალექციო კურსის/კურსების მომზადება და წარმართვა სწავლება/შეფასების თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით“, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამის პრაქტიკის კომპონენტს უნდა ჰქონდეს სავალდებულო სტატუსი, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ცალკეულ დოქტორანტს სწავლების გამოცდილება. ამასთან, მიგვაჩნია, რომ პრაქტიკის არსებული კომპონენტი, რომელიც მხოლოდ პედაგოგიურ გამოცდილებას უკავშირდება, ვერ იქნება საკმარისი პროგრამის ყველა შედეგის უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებით, აქ იგულისხმება კვლევითი პრაქტიკა, რომელიც, ვფიქრობთ, აუცილებლად უნდა იქმნას გათვალისწინებული წარმოდგენილ პროგრამაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი.

<ul style="list-style-type: none"> ○ ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ რეკომენდებულია, პროგრამაში დეტალურად აისახოს არა მხოლოდ ძირითადი და არჩევითი საგნები, არამედ, მოდულები/ქვედარგები, როგორც პროგრამის სტრუქტურა და მასთან შესაბამისი სავალდებულო და არჩევითი საგნები. ○ პროფესორის ასისტირება გახდეს პროგრამის სავალდებულო სტატუსის მქონე კომპონენტი, ○ მოხდეს პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება იმგვარად, რომ იგი სრულად მოიცავდეს პროგრამის მიერ დასახულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ -
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ -
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ -
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები უკავშირდება პროგრამის სწავლის შედეგებს.</p> <p>პროგრამის კურიკულუმში ჩართულ ყოველ სასწავლო კომპონენტს გააჩნია შესაბამისი სილაბუსი, რომელშიც ნათლად არის გაწერილი კომპონენტზე დაშვების წინაპირობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), კომპონენტის მიზნები, შედეგები, ამ შედეგების მიღწევის მეთოდები, შეფასების სისტემა, სასწავლო მასალის შინაარსი და თემატიკა. სილაბუსში მოცემულია ინფორმაცია რეკომენდებული ლიტერატურის, ასევე შეფასების ფორმისა და კრიტერიუმების შესახებ. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება სფეროს აქტუალურ მიღწევებს; ასევე, ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. სილაბუსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას.</p>

სასწავლო კურსების მოცულობა განსხვავებულია კურსის შინაარსისა და სპეციფიკის მიხედვით. სავალდებულო სასწავლო კურსები, სადოქტორო მოდული სპეციალობაში I და სადოქტორო მოდული სპეციალობაში II 10 კრედიტიანია. აღნიშნული სასწავლო კურსების გაცნობისას გამოიკვეთა, რომ სადოქტორო მოდული სპეციალობაში I ეხება ლინგვისტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობას, ხოლო სადოქტორო მოდული სპეციალობაში II ეხება ლინგვისტიკასა და ანთროპოლოგიას. სასურველია, სადოქტორო მოდულებს სათაურში მითითებული ჰქონდეს კურსის შინაარსი. აღნიშნული ფაქტორს მნიშვნელობა ექნებოდა დოქტორის დიპლომის დანართისთვისაც.

სასწავლო კურსების სილაბუსების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ ხდება გარკვეული დუბლირება პროგრამის სავალდებულო კურსის „აკადემიური წერა სამეცნიერო პუბლიკაციებისთვის“ და არჩევით კურსის „ტექსტის რეფერირება და თარგმანი“ სასწავლო მასალას შორის: კერძოდ, ხდება შესასწავლ თემათა განმეორება. „აკადემიური წერა სამეცნიერო პუბლიკაციებისთვის“ კურსის სილაბუსი მოიცავს ზოგიერთ საკითხს, რომელიც კურსში „ტექსტის რეფერირება და თარგმანი“ მოცემული რეფერირების საკითხების იდენტურია, ასევე, ორივე აღნიშნული კურსის ფარგლებში დოქტორანტმა უნდა მოამზადოს ორი ანალოგიური ტიპის რეფერატი, ანალოგიური სტანდარტით და შეფასების კრიტერიუმებით. აქედან გამომდინარე, რეფერირების კურსის არჩევის შემთხვევაში, დოქტორანტს მოუწევს სრულიად იდენტური საკითხების შესწავლა ორ სხვადასხვა სასწავლო კურსში. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა აღნიშნული დუბლირება, თუმცა, მას მიაჩნია, რომ რეფერირების კურსს აირჩევენ ის დოქტორანტები, რომლებიც არ გაივლიან აკადემიური წერის კურსს. მაგრამ, ვინაიდან „აკადემიური წერა სამეცნიერო პუბლიკაციებისთვის“ წარმოადგენს პროგრამის სავალდებულო კურსს, დოქტორანტს ასეთი არჩევანის საშუალება არ მიეცემა.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ რადგან „აკადემიური წერა სამეცნიერო პუბლიკაციებისთვის“ პროგრამის სავალდებულო კურსია და მოცემულ პროგრამაში იგი მოიცავს რეფერირების საკითხებსაც, „რეფერირების და თარგმანის“ არჩევითი კურსის არსებობა პროგრამაში საფუძველმოკლებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით;
- ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი.

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს სავალდებულო და არჩევითი კურსები, რათა გამოირიცხოს შესასწავლი მასალის/საკითხების განმეორება სხვადასხვა კურსში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, სადოქტორო მოდულებს სათაურში მითითებული ჰქონდეს კურსის შინაარსი. აღნიშნული ფაქტორს მნიშვნელობა ექნებოდა დოქტორის დიპლომის დანართისთვისაც.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ინოვაციური ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს საქართველოს უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა „ფილოლოგია“ (შემდგომში - პროგრამა) უზრუნველყოფს დოქტორანტის პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

პროგრამის სასწავლო და კვლევით კომპონენტებში განსაზღვრულია როგორც პრაქტიკული, ისე სამეცნიერო უნარების გამომუშავებისათვის საჭირო უნარები. დოქტორანტის კვლევით საჭიროებას მხარს უჭერენ უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები/სამსახურები. პრაქტიკის გავლის პერიოდში ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართვის შემთხვევაში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს სფეროს კვალიფიციური პირი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ან ფილოლოგიის დარგის, შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაში პრაქტიკის თვალსაზრისით განისაზღვრება ერთი მხრივ, უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგიური პრაქტიკა, ხოლო მეორე მხრივ, სამეცნიერო კვლევითი პრაქტიკა. აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. 2. 2.

დოქტორანტს შესაძლებლობა აქვს მონაწილეობა მიიღოს ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ორგანიზებულ ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციებში ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, გამოაქვეყნოს სტატიები უნივერსიტეტის ინგლისურენოვან სამეცნიერო ჟურნალში (Caucasus Journal of Social Science) და/ან სხვა მათი სფეროსთვის რელევანტურ სამეცნიერო ჟურნალებში.

კვლევის პროცესში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტში დაწესებულია დოქტორანტის გრანტი (2000 ლარი კვლევითი კომპონენტის განხორციელების ორი წლის განმავლობაში), რომელიც ეძლევა დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის (საველე კვლევების ჩასატარებლად, საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში - კონფერენციებში, კონგრესებში, სემინარებში, ტრენინგებში მონაწილეობისათვის, უცხოეთში კვლევითი ვიზიტისა და სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებისათვის) განხორციელების მხარდასაჭერად. დადგენილია დაფინანსების მიღების კრიტერიუმები და ნორმები.

პროგრამის ფარგლებში დოქტორანტს მოეთხოვება ორი სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება

და ერთ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა. ამასთან, პუბლიკაციების გამოქვეყნება და საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოში. აკრედიტაციის ექსპერტთა აზრით, აღნიშნული რეგულაცია ნაკლებად არის შესაბამისობაში თანამედროვე სამეცნიერო ტენდენციებთან, კვლევის საერთაშორისო ხელმისაწვდომობასთან, სადისერტაციო ნაშრომის ინტერნაციონალიზაციასთან.

რეკომენდირებულია, პროგრამაზე კვლევების პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით სავალდებულო მოთხოვნა გახდეს, პროგრამით განსაზღვრული ორი სამეცნიერო ნაშრომიდან ერთ-ერთის გამოქვეყნება საერთაშორისო რეცენზირებად ან/და რეფერირებად/რეცენზირებად/იმპაქტფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში/შრომებში ან უცხოეთის სამეცნიერო გამოცემებში, იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალებში რომლებიც მოხვედრილია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (EBSCO, SCOPUS, Web of Science-ის, ან ERIH PLUS). აღნიშნული საკითხი აისახოს სადოქტორო პროგრამასა და დოქტორანტურის დებულებაში.

სასურველია, პროგრამისათვის გადამუშვდეს ფილოლოგიის დარგისათვის მნიშვნელოვანი გამოცემების არსებული სარეკომენდაციო სია, რომელშიც შევა საქართველოში და უცხოეთში გამოცემული მაღალი ხარისხის პერიოდული სამეცნიერო გამოცემები, მათ შორის, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში შესული სამეცნიერო ჟურნალები. სიის განახლება სასურველია პერიოდულად.

აღნიშნული აქტივობით გარკვეულწილად გაიზრდება პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი და უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა;
- ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე კვლევების პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით სავალდებულო მოთხოვნა გახდეს, პროგრამით განსაზღვრული ორი სამეცნიერო ნაშრომიდან ერთ-ერთის გამოქვეყნება საერთაშორისო რეცენზირებად ან/და რეფერირებად/რეცენზირებად/იმპაქტფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში/შრომებში ან უცხოეთის სამეცნიერო გამოცემებში, იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალებში რომლებიც მოხვედრილია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (EBSCO, SCOPUS, Web of Science-ის, ან ERIH PLUS). აღნიშნული საკითხი აისახოს სადოქტორო პროგრამასა და დოქტორანტურის დებულებაში.

○

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

<ul style="list-style-type: none"> სასურველია, პროგრამისათვის გადამუშვდეს ფილოლოგიის დარგისათვის მნიშვნელოვანი გამოცემების არსებული სარეკომენდაციო სია, რომელშიც შევა საქართველოში და უცხოეთში გამოცემული მაღალი ხარისხის პერიოდული სამეცნიერო გამოცემები, მათ შორის, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში შესული სამეცნიერო ჟურნალები. სიის განახლება სასურველია პერიოდულად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> -
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<h3>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</h3>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე (შემდგომში - პროგრამა) განსაზღვრულია სწავლა-სწავლების მეთოდები და აქტივობები: კრიტიკული ანალიზი, პრობლემის დასმა და გადაჭრა, დისკუსია-დებატები, ასევე აქტივობები: ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, პუბლიკაციების მომზადება და გამოქვეყნება რეფერირებად და რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში.</p> <p>პროგრამის ცალკეული საგნების სილაბუსებში ასევე მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და აქტივობები, რომლებიც განსხვავებულია საგნების სპეციფიკის მიხედვით.</p> <p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების გამოყენებით. პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ელექტრონულ სწავლებას. გამოიყენება Moodle ელექტრონული პლატფორმა, ასევე, პლაგიატის დადგენის მიზნით უნივერსიტეტში იყენებენ Turnitin-ის პროგრამას.</p> <p>პროგრამის ფარგლებში გამოყენებული მეთოდები მრავალფეროვანია და შეესაბამება უმაღლესი განათლების მერვე დონეს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა; ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სილაბუსები; თვითშეფასების ანგარიში; ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან; ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:
○ -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
○ -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
○ -
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
<p>შპს საქართველოს უნივერსიტეტში ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე (შემდგომში - პროგრამა) დოქტორანტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. შეფასება არის სამართლიანი და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. დოქტორანტების შეფასება ხდება როგორც სასწავლო, ისე კვლევითი კომპონენტების მიხედვით. ასევე, მოქმედებს სადისერტაციო ნაშრომის წარდგენისა და შეფასების პროცედურები.</p> <p>დოქტორანტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07 და უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. შეფასების ფორმები, კრიტერიუმები და პერიოდულობა გაწერილია კონკრეტულ სილაბუსებში. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის გავლის შემდეგ ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.</p> <p>სასწავლო პროცესში დოქტორანტს ეძლევა აკადემიურ პერსონალთან საკუთარი მიღწევებისა და მათი გაუმჯობესების გზების განხილვის, ასევე შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობა, რაც ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი, სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭებისა და დამატებითი/განმეორებითი კურსების/კომპონენტების გავლის წესის შესაბამისად.</p> <p>პროგრამა მოიცავს როგორც სასწავლო, ისე კვლევითი კომპონენტის, დისერტაციის შეფასების სისტემას. სადისერტაციო ნაშრომის დაცვისა და შეფასების პროცედურები და შეფასების კრიტერიუმები გაწერილია დოქტორანტურის დებულებაში.</p> <p>დოქტორანტი დისერტაციას წარადგენს სადისერტაციო საბჭოს წინაშე, რომელიც იქმნება ნაშრომის წინასწარი დაცვიდან 5 დღის განმავლობაში, წინასწარი დაცვის ოქმის საფუძველზე. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა არის საჯარო. სადისერტაციო საბჭო შედგება მინიმუმ 5 და</p>

მაქსიმუმ 7 წევრისაგან. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრები (გარდა დოქტორანტის ხელმძღვანელისა/თანახელმძღვანელისა) და ექსპერტები. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე იმავდროულად ასრულებს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას. დოქტორანტს უფლება აქვს მიმართოს შესაბამის სკოლის საბჭოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს სადისერტაციო საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება.

სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის შემდეგ შესაფასებლად გადაეცემა ექსპერტებს, რომლებიც ნაშრომის მიღებიდან არაუგვიანეს 1 თვისა წარადგენენ წერილობით დასკვნას, რომელშიც გამოკვეთილი იქნება ნაშრომის როგორც დადებითი მხარეები, ასევე ხარვეზები. დასკვნაში მკაფიოდ უნდა ჩანდეს იმსახურებს თუ არა დოქტორანტი ხარისხს. დასკვნის საფუძველზე დოქტორანტს ეძლევა 5 სამუშაო დღის ვადა რეკომენდაციების გასათვალისწინებლად ან პასუხების მოსამზადებლად.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა ფასდება 100 ქულიანი სისტემით.

ა) ფრიადი (summacumlaude) - შესანიშნავი ნაშრომი; 91% და მეტი;

ბ) ძალიან კარგი (magnacumlaude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; 81-90%;

გ) კარგი (cumlaude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; 71-80%; დოქტორანტურის დებულება დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ოქტომბრის N 64/19 ოქმით ცვლილება აკადემიური საბჭოს 2020 წლის 10 იანვრის N 01-20 ოქმით 14

დ) საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს; 61-70%;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, 51-60%;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს; 41-50%;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (subomnicanone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს; <40.

სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დოქტორანტის მიერ არადამაკმაყოფილებელი (insufficient) შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დოქტორანტის მიერ სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა;
- დოქტორანტურის დებულება;
- ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

○ -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
○ -
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს “საქართველოს უნივერსიტეტის” (შემდგომში - უნივერსიტეტი) ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სწავლის პროცესის რეგულირების წესი და პირობები, შიდასამართლებრივი აქტებით, ადვილად გასაგები და მარტივად ხელმისაწვდომია დოქტორანტებისთვის; მათ შესაძლებლობა აქვთ მიიღონ კონსულტაცია და მხარდაჭერა სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილია

დოქტორანტებისთვის ინფორმაციის მიწოდება უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციებისა თუ სხვა მხარდაჭერი აქტივობების შესახებ. დაწესებულების სტუდენტებს საშუალება აქვთ წინასწარ გაეცნონ სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციას და მასზე დაყრდნობით აირჩიონ მათთვის სასურველი დისციპლინა. სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია და შესაძლებლობა აქვთ დაამყარონ კომუნიკაცია, როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე ჰქონდეთ წვდომა სასწავლო კურსით განსაზღვრულ მასალებზე, მრავალფეროვან საბიბლიოთეკო რესურსებზე, სასწავლო გეგმასა და აკადემიურ კალენდარზე. უნივერსიტეტის ელექტრონული პორტალის მეშვეობით, ყველა სერვისის ხელმისაწვდომობა მოქნილი და კომფორტულია.

უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის დატვირთვის ცხრილი ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალური კონსულტაციებისათვის განსაზღვრულ საათებს.

უნივერსიტეტის მიერ, დამსაქმებელთა, პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების და კურსდამთავრებულების შეფასებებით მიღებული უკუკავშირის შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კომპონენტები მაქსიმალურად ორიენტირებული გახდა სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე. ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი უნარების განვითარებას და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. პროგრამა მოიცავს ისეთ სასწავლო კურსებს, რომლებიც მიმართულია დოქტორანტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარება-განმტკიცებაზე, რაც ემსახურება არჩეული დისციპლინების შესაბამისად, დოქტორანტის მიერ მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების და ზოგადად სწავლის შედეგების განმტკიცებას.

ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების, აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის მობილობას საზღვარგარეთ პარტნიორ უნივერსიტეტებში, კვლევითი პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსებას.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტის ხელშეწყობით, დოქტორანტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში, რომლებიც პრაქტიკული უნარების გადრმავებას/განვითარებას შეუწყობს ხელს.

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების სახით, პროგრამის დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია თანამედროვე, კომპიუტერული სისტემით აღჭურვილი სამუშაო ოთახები, თანამედროვე აღჭურვილობის საბიბლიოთეკო სივრცეები სადაც უნივერსიტეტს აქვს წვდომა ავტორიტეტულ საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებზე. დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ როგორც საუნივერსიტეტო, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. უნივერსიტეტის სამეცნიერო პროექტების ფარგლებში ქვეყნდება ნაშრომები/მონოგრაფიები, პროფესორ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით დამუშავებული სტატიები, კვლევები. უნივერსიტეტი მაქსიმალურად უცხადებს მხარდაჭერას დოქტორანტებს და შეუძლია გამოყოს დაფინანსება/სტიპენდია კვლევითი კომპონენტის თუ სამეცნიერო პროექტის მხარდასაჭერად. უნივერსიტეტი მხარს უჭერს დოქტორანტებს საკუთარი ინდივიდუალური სასწავლო განრიგის ფორმირებაში; უნივერსი-

ტეტი პროგრამის განხორციელების ფარგლებში გეგმავს წარმატებული დოქტორანტების წახალისებას, სტიპენდიების გაცემას, მათი დაფინანსება/თანადაფინანსებას კვლევით პროექტებში, საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სხვა ტიპის აქტივობებში. უსდ ჩართულია "ერაზმუს +" პროგრამაში ასევე, პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გამოცდილება აქვს. უსდ ახორციელებს კარიერული განვითარებისთვის მხარდაჭერ ღონისძიებებს. პროგრამის განხორციელების ფარგლებში, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, უნივერსიტეტი გეგმავს თანამშრომლობის გაღრმავებას საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან/ინსტიტუტებთან, ასევე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მზად არის საერთაშორისო მოხილობის ფარგლებში, საერთაშორისო კვლევითი ფონდების მიერ გამოცხადებულ კონკურსებში გაუწიოს მხარდაჭერა დოქტორანტებს სტიპენდიების მოპოვებაში.

უნივერსიტეტი გამოთქვამს მზაობას, პროგრამის განხორციელებისას, უზრუნველყოს დოქტორანტების კონკურენტუნარიან კადრებად მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეემლოთ თანამედროვე შრომის ბაზრის საჭიროებების გათვალისწინებით კარიერული განვითარება. უნივერსიტეტში არსებული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებთან და დოქტორანტებთან ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ დოქტორანტები მოხილობის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში ნაკლებად არიან ჩართულნი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები (სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა, დაწესებულების ვებგვერდი), რომელიც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ ინფორმაცია დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის - კურიკულუმის ფარგლებში თუ კურიკულუმს ფარგლებს გარეთ - არსებული სიახლეების, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციების თუ გაცვლითი კვლევითი პროექტების შესახებ, დოქტორანტების მოხილობის მაჩვენებელი არ არის მაღალი.

სასურველია, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, უნივერსიტეტმა, პირველ ეტაპზე გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან; გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო დონორების, საერთაშორისო კვლევითი ფონდების შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა - დანერგოს წამახალისებელი მექანიზმები დოქტორანტებისთვის საერთაშორისო კვლევითი ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში, რათა პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა განხორციელდეს წარმატებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სადოქტორო პროგრამა;
- პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან და ინსტიტუტებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან; მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

○ სასურველია, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, დაწესებულებამ, პირველ ეტაპზე - გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან; გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, საერთაშორისო დონორების, საერთაშორისო კვლევითი ფონდების შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა და დანერგოს წამახალისებელი მექანიზმები სტუდენტებისთვის საერთაშორისო კვლევითი ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში, რათა პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა განხორციელდეს წარმატებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს “საქართველოს უნივერსიტეტის” (შემდგომში - უნივერსიტეტი) ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უნივერსიტეტის მიერ პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. პროგრამას ანხორციელებს და ხელმძღვანელობს აკადემიური ხარისხისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. უნივერსიტეტი პროგრამის დოქტორანტებს სთავაზობს კვალიფიციურ ხელმძღვანელს რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. უსდ-ს განსაზღვრული აქვს, თუ რა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს აკადემიური პერსონალი იმისათვის, რომ ისინი უფლებამოსილნი იყვნენ უხელმძღვანელონ დოქტორანტს სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისას. პროგრამის ფარგლებში არ არის განსაზღვრული და რეკომენდებულია დადგენილ იქნას, სადოქტორო ნაშრომის მომზადების ინსტრუქციის შესაბამისად - წესი, რომლის მიხედვით პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალისთვის დოქტორანტთა ხელმძღვანელობის მაქსიმალური რაოდენობრივი ზღვარი დაწესდება.

პროგრამის ფარგლებში, დისერტაციის შესრულებას და მის საჯარო პრეზენტაციას წინ უმდგის კვლევითი უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსები, პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის ცოდნის გაღრმავებას, მისი კვლევითი უნარე-

ბის განვითარებას, მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის. სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტების სწავლება მიზნად ისახავს, დოქტორანტს მისცეს შესაძლებლობა გაიღრმავოს ცოდნა, რაც მას დაემხარება პროფესიულ ზრდასა და განვითარებაში, აგრეთვე, საკვლევ თემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია შიდასამართლებრივი აქტებით.

უნივერსიტეტი პროგრამის განხორციელებისას უზრუნველყოფს დოქტორანტების კმაყოფილების დადგენას, ანონიმური გამოკითხვის ფორმით, უკუკავშირის მიღების მიზნით; მსგავსი უკუკავშირის მეშვეობით დადგინდება, რამდენად გამართულად, ხარისხიანად, შედეგზე ორიენტირებულად მიმდინარეობს პროგრამის განხორციელების პროცესი. უნივერსიტეტში არსებული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებთან და დოქტორანტებთან ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ დოქტორანტები მობილობის ფარგლებში დაგეგმილ კვლევით აქტივობებში თუ საერთაშორისო პროექტებში ნაკლებად არიან ჩართულნი. სასურველია, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით - კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტმა განსაზღვროს სტრატეგია, რომლის თანახმად პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებს, სწავლის პროცესში, ასევე კვლევითი საქმიანობის დროს, საჭიროების შემთხვევაში, პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებთან ექნებათ მჭიდრო კომუნიკაციის შესაძლებლობა; სასურველია, დაიგეგმოს საჯარო ლექციები/დისკუსიები პარტნიორი საზღვარგარეთის უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის მონაწილეობით; შესაძლებელია მათი მოწვევა პროგრამის ფარგლებში, სადისერტაციო ნაშრომების დამუშავების ეტაპზე - თანახელმძღვანელებად - განსაკუთრებით, უკვე კარგად ათვისებული ონლაინ სწავლების შესაბამისი პლატფორმების ინტეგრირებით; პარალელურად, სასურველია უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია რომლის მიხედვით გაზარდოს საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობას - გაცვლითი სემესტრის ფარგლებში კვლევითი კომპონენტის გააქტიურებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სადოქტორო პროგრამა და დოქტორანტურის დებულება;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- პროგრამის სილაბუსები;
- სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, მოწვეული და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (CV);
- მომიჯნავე ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დაცული სადისერტაციო ნაშრომები;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან; მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის მიერ განისაზღვროს სადოქტორო ნაშრომის მომზადების ინსტრუქციის შესაბამისად - წესი, რომლის მიხედვით პროგრამის განმხორციელებელი აკადემიური პერსონალისთვის დოქტორანტთა ხელმძღვანელობის მაქსიმალური რაოდენობრივი ზღვარი დადგინდება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით - კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტმა განსაზღვროს სტრატეგია, რომლის თანახმად ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებს, სწავლის პროცესში, ასევე კვლევითი საქმიანობის დროს, საჭიროების შემთხვევაში, პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებთან ექნებათ მჭიდრო კომუნიკაციის შესაძლებლობა;
- სასურველია, დაიგეგმოს საჯარო ლექციები/დისკუსიები პარტნიორი საზღვარგარეთის უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის მონაწილეობით; შესაძლებელია მათი მოწვევა პროგრამის ფარგლებში, სადისერტაციო ნაშრომების დამუშავების ეტაპზე - თანახელმძღვანელებად - განსაკუთრებით, უკვე კარგად ათვისებული ონლაინ სწავლების შესაბამისი პლათფორმების ინტეგრირებით; პარალელურად, სასურველია უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია რომლის მიხედვით, გაზარდოს საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობას - გაცვლითი სემესტრის ფარგლებში კვლევითი კომპონენტის გააქტიურებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, აკადემიური ხარისხი და/ან აუცილებელი პრაქტიკული გამოცდილება, რაც მნიშვნელოვანია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 9 პროფესორი, 7 მათგანს უჭირავს პროფესორის და 2-ს ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყველა მათგანი აფილირებულია საქართველოს უნივერსიტეტთან.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ თითოეულ მათგანს აქვს შესაბამისი აკადემიური ხარისხი და პრაქტიკული და სამეცნიერო გამოცდილება პროგრამის წარმატებული განხორციელებისთვის. კერძოდ, აკადემიურ პერსონალს ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს ფილოლოგიის დარგებისათვის შესაბამისი ნაშრომები.

ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა დოკუმენტი აკადემიური პერსონალის დატვირთვის შესახებ, როგორც საქართველოს უნივერსიტეტში, ასევე, სხვა უსდ-ებში. აღნიშნულ დოკუმენტთან გაცნობის და ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი დასაქმებულია მხოლოდ საქართველოს უნივერსიტეტში. აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში არის 0. ექსპერტთან ჯგუფს მიაჩნია, რომ ყველა აღნიშნული ფაქტორი უზრუნველყოფს ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის წარმატებით განხორციელებას და მის მდგრადობას.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე დაინტერესდა, რამდენად ითვალისწინებს პროგრამა მისი განმახორციელებელი პერსონალის ჩართვას დოქტორანტთა კონსულტირების პროცესში. მოწოდებული დოკუმენტაციის (სილაბუსები, აკადემიური დატვირთვა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და სხვ.) საფუძველზე, ისევე როგორც ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ კონსულტაციები ხშირი და დამკვიდრებული პრაქტიკაა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი რაოდენობისა და კომპეტენციის მქონე

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

პროგრამას ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის აუცილებელი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება. იგი უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში (კითხულობს კურსებს), ორგანიზებას უკეთებს პროგრამის დოქტორანტების კვლევით და აკადემიურ აქტივობებს, უზრუნველყოფს კავშირს პოტენციურ დამსაქმებლებთან, ახორციელებს პროგრამის მუდმივ მონიტორინგს, ზრუნავს პროგრამის დახვეწასა და განვითარებაზე, რაც დასტურდება მოწოდებული დოკუმენტაციისა და დოქტორანტებთან ინტერვიუების საფუძველზე.

პროგრამის წარმატებით განხორციელებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა;
- პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმე;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მონაცემები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალის პროფესიულ განვითარებას და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობას, რასაც სკოლასთან ერთად ახორციელებს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, უნივერსიტეტში თანამედროვე ცოდნაზე და ხარისხზე ორიენტირებული კვლევის განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას და სასწავლო პროცესთან მის ინტეგრაციას, უნი-

ვერსიტეტში სამეცნიერო პოლიტიკის დაგეგმვასა და მართვას. ექსპერტთა ჯგუფის დამატებითი მოთხოვნის საფუძველზე მოწოდებულ დოკუმენტაციასთან გაცნობის შედეგად დადასტურდა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის სამეცნიერო მუშაობის პროდუქტიულობის შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ მაჩვენებლებს. მაღალი ხარისხის სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ხელშესაწყობად, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს წახალისების მექანიზმი და კრიტერიუმები, რომელიც ასახულია პრემიების გაცემის წესში. პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან ონლაინ ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ პერსონალი იცნობს სამეცნიერო მუშაობის პროდუქტიულობის შეფასების და წახალისების მექანიზმებს, და კონკრეტულ ფაქტებსაც, თუმცა, თავად წახალისების ან პრემიის მიღების გამოცდილება არ აქვს.

აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციისა და სამეცნიერო საქმიანობის წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტში შემუშავებულია სამეცნიერო აქტივობების (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, პუბლიკაციების გამოქვეყნება რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში) დაფინანსების მექანიზმი. წარმოდგენილი პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა პერსონალმა ინტერვიუების დროს არაერთგზის აღნიშნა, რომ მათი საერთაშორისო კვლევები და პუბლიკაციები ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. ექსპერტთა ჯგუფმა სთხოვა პროგრამის განმახორციელებლებს, წარმოედგინათ მათ მიერ განხორციელებულ სამეცნიერო აქტივობებში უნივერსიტეტის ფინანსური მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მოწოდებული იქნა დოკუმენტი სათაურით „Research & development funds”, რომელიც მოიცავს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტი მართლაც ითვალისწინებს კვლევის დაფინანსების ხარჯებს, თუმცა, ამით არ დასტურდება მოცემული პროგრამის ან მომიჯნავე პროგრამის აკადემიური პერსონალის კვლევების დაფინანსებაში უნივერსიტეტის მონაწილეობა.

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში ყოველწლიურად ტარდება კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და იბეჭდება წაკითხულ მოხსენებათა კრებული, პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად ტარდება ტრენინგები და ვორქშოპები. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა და გაეცნო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ შრომათა კრებულს, ისევე როგორც პერსონალის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციას მათ მიერ განხორციელებული სამეცნიერო აქტივობების შესახებ, რის შედეგადაც გამოიკვეთა და დადასტურდა, რომ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობები თუ პუბლიკაციები უმეტესწილად უნივერსიტეტის ბაზაზე და უნივერსიტეტის ორგანიზებით არის განხორციელებული.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები:**
- ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებათა სკოლის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციების მოხსენებათა კრებულები;
 - სამეცნიერო-კვლევითი ინტიტუტის დებულების დანართი პრემიების გაცემის წესის შესახებ;
 - აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პუბლიკაციების ნუსხა;
 - ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- გაძლიერდეს ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სამეცნიერო აქტივობის ფინანსური მხარდაჭერის პრაქტიკა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
○ -
შეფასება
<input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>მატერიალ-ტექნიკური ბაზის ვირტუალური დათვალიერების საფუძველზე, ისევე როგორც ინტერვიუს დროს მოპოვებული ინფორმაციით დასტურდება, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p> <p>პროგრამის განხორციელების პროცესში ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა სარგებლობს იმ ინფრასტრუქტურით, რომელიც გააჩნია უნივერსიტეტს.</p> <p>პროგრამის განხორციელებისთვის უნივერსიტეტს გააჩნია საჭირო ტექნიკური და მატერიალური რესურსები, მათ შორის აღსანიშნავია კეთილმოწყობილი სასწავლო აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ინფორმაციული ტექნიკითა და ტექნოლოგიებით (პროექტორები, კომპიუტერები, უკაბელო ინტერნეტი).</p> <p>უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოიპოვება უახლესი/აქტუალური სახელმძღვანელოები და წიგნები, რაც დოქტორანტს საშუალებას აძლევს, შეუფერხებლად მიიღოს საჭირო ლიტერატურა და იმუშაოს პროფესიული განვითარებისთვის საჭირო მიმართულებით. მას შეუძლია ისარგებლოს უნივერსიტეტში არსებული ისეთი ელექტრონული რესურსით, მათ შორის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ფილოლოგიის დარგებისათვის მნიშვნელოვანი ელექტრონული სამეცნიერო ბაზები, როგორცაა Jstor, Elsevier და ა.შ. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ პანდემიის პირობებში ხელისაწვდომია საერთაშორისო ბაზებზე წვდომა უნივერსიტეტის კამპუსს გარეთაც. დანერგილია მართვის ელექტრონული სისტემა; აკადემიურ პერსონალს გააჩნია სამუშაო სივრცე და ასევე თავისუფალი წვდომა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან; სტუდენტები ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტში არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი; ○ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ მატერიალ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>○ -</p>

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
○ -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
○ --
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და ონლაინ ინტერვიუების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფისთვის ცნობილი გახდა, რომ პროგრამას გააჩნია სწავლების სრულ ციკლზე გათვლილი ფინანსური გეგმა, რომლის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები პროგრამაზე მისაღები დოქტორანტების რაოდენობის გათვალისწინებით არის დათვლილი. წარმოდგენილი ბიუჯეტი 3 სასწავლო წლის განმავლობაში მოიცავს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. „ლექციების სახელფასო ხარჯებს“; 2. „დოქტორანტის ხელმძღვანელის ანაზღაურებას“; 3. „დოქტორანტის სამეცნიერო აქტივობების ხარჯებს“; <p>ზემოაღნიშნულ პუნქტებს სწავლების ბოლო წლის ფინანსურ გეგმაში ემატება „ექსპერტების ხარჯები“.</p> <p>წარმოდგენილი ფინანსური გეგმა არ ითვალისწინებს ისეთ ხარჯებს, როგორცაა მაგალითად, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაგეგმილი აქტივობები, პერსონალის სამეცნიერო აქტივობების/მივლინებების ხარჯები, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია სადოქტორო პროგრამის წარმატებით ფუნქციონირებისათვის.</p> <p>როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, (4 სტანდარტის 2 ქვესტანდარტში) ექსპერტთა ჯგუფს ასევე მიეცა საშუალება, გაცნობოდა დამატებითი მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილ დოკუმენტს “Research & development funds”, რომელიც მოიცავს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტი ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის კვლევის დაფინანსების ხარჯებს, თუმცა, ეს დოკუმენტი არ მოიცავს ინფორმაციას, იღებს თუ არა კონკრეტულად ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა რაიმე სახის ფინანსურ მხარდაჭერას საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან.</p> <p>ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, მოხდეს პროგრამის ფინანსურ გეგმაში პროგრამის წარმატებული ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ზემოაღნიშნული ხარჯის გათვალისწინება, ისევე როგორც უნივერსიტეტის მიერ მოცემული პროგრამისთვის გაღებული პერიოდული თუ ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის წარმოჩენა, ასეთის არსებობის</p>

შემთხვევაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: <ul style="list-style-type: none"> ○ ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის ფინანსური გეგმა. ○ დოკუმენტი "Research & development funds"; ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: <ul style="list-style-type: none"> ○ მოხდეს პროგრამის ფინანსურ გეგმაში პროგრამის წარმატებული ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯის გათვალისწინება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: <ul style="list-style-type: none"> ○ -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> ○ -
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის (შემდგომში - აკრედიტაციის ანგარიში) თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) თვითშეფასებას ახორციელებს თვითშეფასების ჯგუფი (სკოლის დირექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები - სასწავლო კურსების კურატორები, პოტენციური დამსაქმებლები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი), რომელიც იქმნება სკოლის საბჭოს მიერ და ხელმძღვანელობს „ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციით“ განსაზღვრული პროგრამის თვითშეფასების პროცედურით. აკრედიტაციის ანგარიშის თანახმად, პროგრამის თვითშეფასების პროცედურა მოიცავდა:

- ბაზრის კვლევას, რესურსების ანალიზს, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, მოქმედი/პოტენციური დამსაქმებლის გამოკითხვას;
- მიღებული შედეგების ანალიზსა და შედეგებზე რეაგირების მექანიზმების განსაზღვრას პროგრამის სრულყოფის მიზნით;
- სასწავლო კურსების სილაბუსების აკადემიურ ექსპერტიზას, ანალოგიური პროგრამების შედარებით ანალიზს;
- აუცილებლობის შემთხვევაში, სწავლების პროცესში გამოყენებული მეთოდების რელევანტურობის დაზუსტება/კორექტირებას საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პროცესის შესახებ სრული ინფორმაციის მიღების მიზნით ვიზიტის პერიოდში უნივერსიტეტს ეთხოვა თვითშეფასების პროცესში გამოყენებული სახელმძღვანელო დოკუმენტის („ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციის“) დამატებით წარდგენა. დაწესებულების განმარტებით, აკრედიტაციის თვითშეფასებაში მითითებული დოკუმენტი „ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია“ გაუქმებულია და მის ნაცვლად თვითშეფასების ანგარიშის დანართად წარმოდგენილია დღეისათვის მოქმედი, რექტორის საბჭოს მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დებულება“ (დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 24 ნოემბრის N 51/20 ოქმით).

დაწესებულებაში მოქმედ „საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში“ მითითებულია:

- საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის (მათ შორის, პროგრამის ინიცირების, შექმნის და შემუშავება/განახლების ეტაპები, პროგრამის დამტკიცება და ა.შ.) და გაუქმების, დაფინანსებისა და ადმინისტრირების (მათ შორის, პროგრამის და მიმართულების ხელმძღვანელების, სასწავლო კომპონენტების კურატორის ფუნქციები, პროგრამის განვითარების საბჭოს შემადგენლობა და ა.შ.) საკითხები;
- მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამებისადმი (მათ შორის, სწავლების ენა, მოცულობა, პროგრამის მდგენელები, პროგრამის ტიპები, სწავლების მეთოდები, შეფასების ფორმები და სხვ.). აქვე აღსანიშნავია, რომ კორექტირებას და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას საჭიროებს ჩანაწერი დოქტორანტურის პროგრამის მოცულობის (180 კრედიტი) თაობაზე (იხ. მ.2, პ.2.1.);
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი (მათ შორის, მოთხოვნები კვალიფიკაციის

სადმი, პერსონალის და სტუდენტების რაოდენობების თანაფარდობები (არანაკლებ 1/20), ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების რაოდენობების თანაფარდობები (არანაკლებ 1/4) და ა.შ.). მიზანშეწონილია დაკორექტირდეს გამოყენებული ტერმინი „მოწვეული აკადემიური პერსონალი“ (იხ. თ.4, მ.1, პ.4), რადგან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (შემდგომში - უსდ) აკადემიურ პერსონალს მიეკუთვნება ამ კანონით დადგენილი წესით შერჩეული უსდ-ს აკადემიური თანამდებობის მქონე პირი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი);

- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების უწყვეტი სრულყოფის მექანიზმები (მაგ., პროგრამის შეფასების მიზნები, მექანიზმები, პერიოდულობა, პროგრამის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასება და სხვ.). პროგრამის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მიზნით გამოიყენება სხვადასხვა კითხვარები (სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასების ფორმა სტუდენტებისთვის; სასწავლო პროცესით კმაყოფილების შეფასების ფორმა სტუდენტებისთვის; სასწავლო კურსის შეფასების ფორმა ლექტორებისთვის; უნივერსიტეტში მიღებული განათლების შეფასების ფორმა (დასაქმებული სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის); აუცილებელი პროფესიული უნარ-ჩვევების მოთხოვნის და შეფასების კითხვარი დამსაქმებლებისთვის).

„საგანმანათლებლო პროგრამის დებულების“, დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე აღსანიშნავია შემდეგი:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებისა და პროგრამის ხელმძღვანელების განმარტებით, პროგრამის შეფასების პროცესში შეისწავლება სასწავლო პროცესი, ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა. ასევე, პროგრამის შეფასების პროცესში ხდება შინაარსობრივი მხარის შესწავლა, აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამების შეფასება ტარდება დახლოებით 1-2 წელიწადში ერთხელ (ყოველწლიურად ტარდება სტუდენტების გამოკითხვა, წლის ბოლოს მონაცემები გადაეცემა ხარისხის სამსახურს), პროგრამის განმახორციელებელი სკოლა (პროგრამის ხელმძღვანელი და პერსონალი) თავისი ინიციატივით (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისაგან დამოუკიდებლად) წელიწადში ერთხელ აფასებს პროგრამას;
- „საგანმანათლებლო პროგრამის დებულების“ თანახმად: საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების უწყვეტი სრულყოფის მექანიზმში მოიაზრება მხოლოდ პროგრამის შედეგების შეფასება (იხ. თ.5, მ.1-4), პროგრამით განსაზღვრული კურსების სწავლის შედეგების შემოწმება, გაზომვა და ანალიზი ხდება სემესტრის განმავლობაში, სტუდენტის ცოდნის შეფასებისთვის უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრული შუალედური და დასკვნითი შეფასებებით (იხ. თ.5, მ.2, პ.2.2.);
- თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, შიდა ხარისხის შეფასება მოიცავს: 1) აკადემიური მოსწრების ანალიზს (გულისხმობს დოქტორანტის მიღწევებთან (სასწავლო მოდულით გათვალისწინებული კომპონენტების შეფასებები, კვლევითი კომპონენტების წარდგენა/შეფასების ხარისხი, დოქტორანტის სამეცნიერო აქტივობები და სხვ.) დაკავშირებული მონაცემების დამუშავებას, ანალიზს და შედეგების დადარებას პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან); 2) სწავლის შედეგების რუკას („იმლევა პროგრამისა და სასწავლო კურსების/მოდულების სწავლის შედეგების შედარების საშუალებას და აჩვენებს რომელი კურსით/კურსებით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავება), 3) პროგრამით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა (კითხვარების გამოყენებით ხდება ინფორმაციის შეგროვება პროგრამით ან ცალკეული სასწავლო კურსით/პრაქტიკული/კვლევითი კომპონენტით,

სწავლების მეთოდების ეფექტურობითა და სასწავლო ლიტერატურით სტუდენტის კმაყოფილების შესახებ, რათა დადგინდეს რამდენად რეალური და მიღწევადია სასწავლო კურსით/პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციები და შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში როგორია სტუდენტის თვითშეფასება წარუმატებლობის მიზეზთან დაკავშირებით); 4) პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვლევა (კითხვარების გამოყენებით ხდება ინფორმაციის შეგროვება პროგრამით ან ცალკეული სასწავლო კურსით/პრაქტიკული/კვლევითი კომპონენტით, სწავლების მეთოდების ეფექტურობითა და სასწავლო ლიტერატურით აკადემიური პერსონალის კმაყოფილების შესახებ. დგინდება, რამდენად უზრუნველყოფს სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა, საათობრივი დატვირთვა და გამოყენებული მეთოდები სასურველი შედეგის მიღწევას და ხომ არ არის აუცილებელი რომელიმე კომპონენტის კორექტირება ან ცვლილება).

ზემოთ მითითებულიდან გამომდინარე აღსანიშნავია შემდეგი:

- აუცილებელია პროგრამის შეფასების უკვე არსებულ მექანიზმს (პროგრამის შედეგების შეფასება) დაემატოს ისეთი მექანიზმები, რომლებიც იქნება გამოყენებული პროგრამის მდგრადობისა და განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გარემოების, პროცესებისა და პროცედურების ეფექტურად შესაფასებლად (მაგ., უცხოეთის პროგრამებთან დადარების და საუკეთესო პრაქტიკების შესწავლის შედეგები, პროგრამის სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლების დინამიკა, გარე შეფასება და სხვ.), რადგან პროგრამის შეფასებისა და განვითარების უწყვეტი სრულყოფისათვის მხოლოდ პროგრამის შედეგების შეფასების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს პროგრამის ყველა ძლიერი და სუსტი მხარის დადგენას, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ნაკლოვანებების დაძლევაზე მიმართულ გადაწყვეტილებებზე და PDCA პრინციპის სწორი და ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობაზე;
- მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას საჭიროებს ჩანაწერი დოქტორანტურის პროგრამის მოცულობის (180 კრედიტი) თაობაზე (იხ. მ.2, პ.2.1.);
- არარელევანტურია თვითშეფასების ანგარიშში მითითებული აკადემიური პერსონალის კვლევა, რომლის მიზანია დაადგინოს რამდენად კმაყოფილია აკადემიური პერსონალი სილაბუსში მითითებული/გამოყენებული სწავლების მეთოდების ეფექტურობითა და სასწავლო ლიტერატურით, უზრუნველყოფს თუ არა გამოყენებული მეთოდები სასურველი შედეგის მიღწევას და ა.შ., რადგან აკადემიური პერსონალი თავად შეიმუშავებს სილაბუსებს, შეარჩევს სახელმძღვანელოებს და სწავლების ეფექტიან მეთოდებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ დაგეგმილი შედეგების მიღწევა, საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები და ა.შ.
- ინფორმაციის არარსებობის გამო შეუძლებელია იმის დადგენა რა მეთოდოლოგიურ მიდგომებს ითვალისწინებდა „ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია“ და როგორ და რამდენად სრულად მოხდა პროგრამის შემუშავების და თვითშეფასების პროცესში ამ მიდგომების გამოყენება, „საგანმანათლებლო პროგრამის დებულება“ კი, მისი ამოქმედების თარიღიდან გამომდინარე (დამტკიცების თარიღი: 24.12.2020), ვერ იქნებოდა სრულად გამოყენებული აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამის (დამტკიცების თარიღი: 29.01.2021) შემუშავებისა და თვითშეფასების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საგანმანათლებლო პროგრამის დებულება“;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- აუცილებელია პროგრამის შეფასების უკვე არსებულს (პროგრამის შედეგების შეფასება) დაემატოს ისეთი შეფასების მექანიზმები, რომელთა მეშვეობით იქნება შესაძლებელი პროგრამის მდგრადობისა და განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გარემოების, პროცესებისა და პროცედურების კომპლექსურად შეფასება (მაგ., პროგრამის ათვისების ხარისხი, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისათვის სამიზნე ნიშნულების დადგენა და მიღწეული შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარება და პროგრამის სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლების დინამიკა, პროგრამის გარე შეფასება, მათ შორის უსდ-ების და კვლევითი ინსტიტუციების მიერ, უცხოეთის პროგრამებთან დადარება და სხვ.).
- კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უნდა დაკორექტირდეს „საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში“ არსებული ჩანაწერი დოქტორანტურის პროგრამის მოცულობის (180 კრედიტი) შესახებ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია გადაიხედოს აკადემიური პერსონალის კითხვარები აკადემიური პერსონალისთვის დასმული კითხვების ნაწილში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ უნივერსიტეტის გარე შეფასებაში მოიაზრება ა) დამსაქმებელთა კვლევა და ბ) კურსადმთავრებულთა კვლევა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მიერ თვითშეფასების ანგარიშის დანართად და ვიზიტის დროს დამატებით წარმოდგენილი დამსაქმებელთა კვლევა არ მოიცავს უშუალოდ აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამის შეფასებას (კითხვარში მითითებულია: „კითხვარი მიზნად ისახავს პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებულ უნარ-ჩვევებსა და ორგანიზაციის საჭიროებებს შორის შესაბამისობის განსაზღვრას, ფილოლოგიის დოქტორთა დასაქმების ბაზარზე არსებული ტენდენციებისა და მოთხოვნების გამოვლენას, რომლებიც პროგრამამ უნდა დააკმაყოფილოს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების მიზნით“). თვითშეფასების დანართად და ვიზიტის დროს დამატებით წარმოდგენილი კურსადმთავრებულთა კვლევა (კითხვარი, ანალიზის შედეგები) არ ემსახურება აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამის შეფასებას, რადგან: 1) კვლევა ჩატარდა 2019 წელს, უნივერსიტეტის წარმომადგენლების განმარტებით კი აკრედიტაციის მი-

ზნით წარმოდგენილი პროგრამა არის ახალი, შესაბამისად კურსდამთავრებულები არ ჰყავს; 2) კითხვარში მითითებულია: „ჩვენთვის მნიშვნელოვანია თქვენი ზოგადი კმაყოფილების ხარისხის გარკვევა თქვენს მიერ განვლილი პროგრამის მიმართ. ეს დაგვეხმარება პროგრამის სუსტი მხარეების გამოვლენასა და მოდიფიკაცია/სრულყოფაში“, შესაბამისად კურსდამთავრებულთა გამოკითხვის საგანს წარმოადგენს არა ახალი, არამედ უკვე არსებული პროგრამის შეფასება.

ამავდროულად, დასტურდება აკრედიტაციის განაცხადის წარდგენის შემდგომ პროგრამის გარე შეფასება - პროგრამა დადებითად შეფასდა რუსეს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის მიერ (Associate Professor, PhD, University of Ruse Angel Kanchev, Bulgaria), რომელიც მიიჩნევს, რომ პროგრამა სრულ შესაბამისობაშია ევროპაში ფუნქციონირებად იმ პროგრამებთან, რომლებშიც ფიქსირდება ლინგვისტიკის (როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი), ლიტერატურათმცოდნეობის და კულტუროლოგიის სინთეზი (შესაბამისი გამოხმაურება დამატებით იყო წარმოდგენილი ვიზიტის პერიოდში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- დამსაქმებელთა კვლევა (კითხვარი და კვლევის ანგარიში), თვითშეფასების დანართები და ვიზიტის დროს დამატებით წარმოდგენილი მასალა;
- კურსდამთავრებულთა კვლევა (კითხვარი და კვლევის ანგარიში), თვითშეფასების დანართები და ვიზიტის დროს დამატებით წარმოდგენილი მასალა;
- პროგრამის გარე შეფასება (Tsvetelina Harakchiyska, Associate Professor, PhD, University of Ruse Angel Kanchev, Bulgaria) - ვიზიტის დროს დამატებით წარმოდგენილი მასალა „Evaluation - PhD Programme_UG_27-05-2021“;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის :

- -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

- -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის პერიოდული შეფასების საკითხები მითითებულია დაწესებულებაში მოქმედ „საგანმანათლებლო პროგრამების დებულებით“ (თ.5, მ. 4), რომლის თანახმად: „პირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასება ხორციელდება არანაკლებ 1 წელიწადში ერთხელ; არაპირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასება ხორციელდება არანაკლებ 3 წელიწადში ერთხელ“, „განხორციელებული შეფასების ხარისხის შემოწმება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხორციელდება პირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასების შემთხვევაში არანაკლებ 2 წელიწადში ერთხელ; არაპირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასების შემთხვევაში არანაკლებ 4 წელიწადში ერთხელ“, „პროგრამის შედეგების შეფასება ხდება სკოლის საბჭოზე“ და „სკოლის საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები აისახება პროგრამის კომპონენტის ცვლილების პროექტში და წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად“. შეფასების მიზნით გამოიყენება ამავე დებულების დანართები: „სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასების ფორმა სტუდენტებისთვის“; „სასწავლო პროცესით კმაყოფილების შეფასების ფორმა სტუდენტებისთვის“; „სასწავლო კურსის შეფასების ფორმა ლექტორებისთვის“; „უნივერსიტეტში მიღებული განათლების შეფასების ფორმა (დასაქმებული სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის)“; „აუცილებელი პროფესიული უნარ-ჩვევების მოთხოვნის და შეფასების კითხვარი დამსაქმებლებისთვის“. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებისა და პროგრამის ხელმძღვანელების განმარტებით, პროგრამის შეფასების პროცესში შეისწავლება სასწავლო პროცესი, ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა. ასევე, პროგრამის შეფასების პროცესში ხდება შინაარსობრივი მხარის შესწავლა, აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამების შეფასება ტარდება დახლოებით 1-2 წელიწადში ერთხელ (ყოველწლიურად ტარდება სტუდენტების გამოკითხვა, წლის ბოლოს მონაცემები გადაეცემა ხარისხის სამსახურს), პროგრამის განხორციელებელი სკოლა (პროგრამის ხელმძღვანელი და პერსონალი) თავისი ინიციატივით (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისაგან დამოუკიდებლად) წელიწადში ერთხელ ავასებს პროგრამას. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მხედველობაში მიიღება საერთაშორისო აკრედიტაციის ABET სტანდარტები - მექანიზმები გაზიარებულია, თუმცა პერიოდულობა არის შემცირებული, რაც უფრო რელევანტურად მიაჩნიათ.

წინამდებარე ქვესტანდარტთან მიმართებაში აღსანიშნავია შემდეგი:

- პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება -
 - 1) მოქმედი პროგრამის მიზნებისთვის ჩატარდა პროგრამის სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მოსაზრებების შესწავლა, რაც დასტურდება ვიზიტის პერიოდში დამატებით წარმოდგენილი მასალებით.
 - 2) აკრედიტაციის მიზნით წაროდგენილი პროგრამა დაწესებულების მიერ მიჩნეულია ახალ პროგრამად, შესაბამისად ამ ეტაპზე დასტურდება პროგრამის შეფასებისთვის დადგენილი პერიოდულობა, შეფასების ასპექტები (პროგრამის შედეგების შეფასება) და მექანიზმები (დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებებისა და კმაყოფილების კვლევა), რაც გათვალისწინებულია „საგანმანათლებლო პროგრამების დებულებით“.

3) დამსაქმებლების გამოკითხვასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი: 2019 წელს გამოკითხვაში მონაწილეობდა 8 გარე რესპოდენტი (გამომცემლობები, სკოლები, საგანმანათლებლო და ენების ცენტრები) და თავად საქართველოს უნივერსიტეტი, 2021 წელს კი - 4 გარე რესპოდენტი: ერთ-ერთი უსდ (ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ გამოკითხვა ამ უსდ-ს 2 კვლევითი ცენტრი), 3 გამომცემლობა და თავად საქართველოს უნივერსიტეტი. 2021 წელს ჩატარებული გამოკითხვებიდან ირკვევა, რომ: გამოკითხულთა 28% თვლის, რომ მათ ორგანიზაციებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფილოლოგიის სფეროსათვის რელევანტური კომპეტენციების მქონე სპეციალისტების დასაქმება რედაქტორის პოზიციაზე; გამოკითხულთა 11% ფილოლოგიის დოქტორის დასაქმებისათვის კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში წარმოჩენილი რთული და ზოგჯერ წინააღმდეგობრივი მოსაზრებებისა და მიდგომების შეჯერებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე საკითხის შესახებ რელევანტური და მკაფიოდ არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარს უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიიჩნევს და ა.შ., რაც ნაკლებად შეესაბამება პროგრამის მიზნებს, მაგ., „მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს ფილოლოგიის სააზროვნო სივრცის ინტერდისციპლინური განზომილებებისათვის რელევანტური ცოდნის ათვისებასა და გაანალიზებას, ფილოლოგიური აზროვნების საზღვრების გაფართოებას - ახალი ცოდნის გენერირებასა და დანერგვა/განვითარებას, ინოვაციური კვლევის განხორციელებას ფილოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე“. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შემუშავდეს დოქტორანტურის საფეხურისთვის რელევანტური კითხვარები და გაიზარდოს როგორც გარე რესპოდენტთა საერთო რაოდენობა, ისე მათ შემადგენლობაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კვლევითი ორგანიზაციების/ცენტრების წილი.

- პროგრამის პერიოდული დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება - პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, ბენჩმარკინგისთვის (სამაგიდო კვლევა) შეირჩა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (https://www.tsu.ge/data/file_db/QA_humanities/PhD-Philologia-270219.pdf) და ალბა ლულიას უნივერსიტეტის (რუმინეთი) (<https://www.phdstudies.com/PhD-in-Philology/Romania/%E2%80%9C1-Decembrie-1918%E2%80%9D-University-of-Alba-Iulia/>) სადოქტორო პროგრამები ფილოლოგიაში, რაც ასევე მითითებულია თვითშეფასების ანგარიშში. ექსპერტების კითხვებთან (1. რატომ ეს უსდ-ები, 2. რატომ მხოლოდ 2 უსდ) დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ შეისწავლეს სხვადასხვა პროგრამები, მაგრამ სხვა პროგრამებთან მხოლოდ ლინგვისტიკის ნაწილში იყო შესაძლებელი დადარება, რის შედეგად შეირჩა საქართველოს და უცხოეთის ეს კონკრეტული უსდ-ები, რომელთა პროგრამების ემთხვევა დაწესებულების პროგრამის ხედვას, რადგან დაწესებულების პროგრამა ინტერდისციპლინარიაზმით გამოირჩევა. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მითითებულ პროგრამებთან დადარებით გაზიარებულია პროგრამის სტრუქტურა, მათ შორის სპეციალობის მოდულების სტრუქტურა და მოცულობა. ასევე, შედარების შედეგად დადგინდა შესაბამისობა შესადარებელი პროგრამების სტრუქტურის (სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ბალანსის) ნაწილში, რაც ნაკლებად გასაგებია, რადგან საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სამეცნიერო კვლევითი კომპონენტისთვის მოცულობა განსაზღვრული არ არის, შესაბამისად სასწავლო და კვლევითი კომპონენტების თანაფარდო-

ბა/ბალანსი შედარებული და გათვალისწინებული ვერ იქნება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- „საგანმანათლებლო პროგრამების დებულებით“;
- სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალის გამოკითხვები (კითხვარები და ანალიზი), დამატებით წარმოდგენილი ვიზიტის დროს;
- დამსაქმებელთა 2019 და 2021 წლების გამოკითხვები (კითხვარები და ანალიზი), თვითშეფასების ანგარიშის თანდართული და დამატებით წარმოდგენილი ვიზიტის დროს;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის და საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინების მიზნით უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, მათ შორის ამ პროგრამების ფარგლებში განხორციელებული სამეცნიერო კვლევების შესწავლის მიმართულებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვების შემთხვევაში უნდა იყოს გათვალისწინებული დოქტორანტურის პროგრამის თავისებურებები (უმაღლესი განათლების საფეხური, პროგრამით მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი, პროგრამის მიზნები და ა.შ.), მათ შორის უნდა გაიზარდოს რესპოდენტთა შემადგენლობაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და კვლევითი ორგანიზაციების წილი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)
არ ერთვის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
შპს საქართველოს უნივერსიტეტი,

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:
„ფილოლოგია“, დოქტორანტურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 48

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა - ნინო პოპიაშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა - თამარ გვიანიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა - ინგა დიაკონიძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა - თათია უბერი

